# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 15 მარტი. 2024 წ. №31 (9711) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


გალობა – სიტყვაზე ძლიერია!




## „ქართული მრავალხმიანობა აერთიანებს თითოეული ადამიანის უნიკალურობის, ადამიანებს შორის ჰარმონიის და სიყვარულის იდეას“...

**ქართული გალობა ჩვენი უძველესი კულტურის ფასდაუდებელი მონაპოვარია. ქართული გალობის აღორძინება უპირველეს ყოვლისა ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს და ჩვენს სახელოვან მუსიკოსსა და ლოტბარს, ანზორ ერქომაიშვილს უკავშირდება. მინდა მადლობა გადავუხადო ბიძინა ივანიშვილს, რომლის ქველმოქმედებამაც ამ საქმის კეთება შესაძლებელი გახადა და რომელიც მხარს უჭერდა ანზორ ერქომაიშვილს და მის ცენტრს მრავალი წლის განმავლობაში,** – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ქართული გალობის მრავალტომეულის წარდგენაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**„ქართული გალობა გამოხატავს იმ უზენაეს ქრისტიანულ იდეალებს, რომლებიც ასწლეულების განმავლობაში ქმნიდა ქართულ იდენტობას. ქართული გალობის ტრადიციამ, ისევე როგორც მთლიანად ჩვენმა კულტურამ, არაერთი რთული ისტორიული პერიოდი გამოიარა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ის გაქრობის საფრთხის წინაშეც კი აღმოჩნდა“,** – აღნიშნა **კობახიძემ.**

მისივე თქმით, ქართული გალობის ნამდვილი აღორძინება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. პრემიერის განცხადებით, გალობის აღორძინება უპირველეს ყოვლისა ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს და ჩვენს სახელოვან მუსიკოსსა და ლოტბარს, ანზორ ერქომაიშვილს უკავშირდება.

**„დღეს ამ ტრადიციის განვითარებაში საკვანძო როლს ფოლკლორის ცენტრი ასრულებს. ცენტრმა საქართველოს მასშტაბით დააარსა სალოტბარო სკოლები, ცენტრი მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევებს გალობის შესახებ, ხელს უწყობს ახალგაზრდობის მეტ ჩართულობას ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. მინდა მადლობა გადავუხადო ბიძინა ივანიშვილს, რომლის ქველმოქმედებამაც ამ საქმის კეთება შესაძლებელი გახადა და რომელიც მხარს უჭერდა ანზორ ერქომაიშვილს და მის ცენტრს მრავალი წლის განმავლობაში. ცენტრის მიერ გაკეთებულ დიდ საქმეებს შორის გამორჩეული მნიშვნელობისაა ქართული საგალობლების სანოტო ჩანაწერების გაციფრება და ქართული გალობის ანთოლოგიის გამოცემა. დღეს ჩვენ წინაშეა თითქმის ათწლიანი, მართლაც ტიტანური შრომის შთამბეჭდავი შედეგი – ესაა ანთოლოგიის 29 ტომი, 6000-ზე მეტი საგალობელი, რომელთა უმრავლესობა პირველად დაიბეჭდა“,** – აღნიშნა **პრემიერ-მინისტრმა.**



## გაშალე ფრთები, გალა, გაშალე!

**გალაკტიონს**

ფრთები გაშალე, გალა, გაშალე!
ქროლვით მუზებიც აღარ დაინდო,
ვის დასტირიან, რაღას მოსთქვამენ?
შენ აქ იყავ და არვინ დაგინდო.

ცეცხლის მზით მარად გაცისკროვნდები,
შვიდგზის შვიდფერად რომ კვლავ აინთო,
ლურჯა ცხენების შავი ფლოქვებით
ეშმა გათელე და არ დაინდო!

გადმოაღვენთე მადლი ცისკრისას,
დედა-ღვთისმშობელს ლექსი უკმიე,
უეკლო ვარდი, როგორც თილისმა,
სილაჟვარდეში მკერდზე უბნიე!

როგორ ევნე და როგორ ეწამე,
ჯვარს ეცვი! მაგრამ შველა არ იყო...
დანავარდობდა ქარი ლერწამზე,
ვინ განუგეშა... მერი სად იყო?!

ან „მესაფლავეს“ რისთვის სტიროდი,
მთაწმინდის მზე თუ ჩასისხლულიყო,
ან წრფელი გულით რისთვის მისნობდი,
თუ შენი ქნარი, ვისთვის რა იყო?

გაშალე ფრთები, გალა გაშალე,
მგზნებარე ქროლვით რომ ცა გაიპოს!
ანგელოზები გამოაფხიზლე,
რომ საქართველო ისევ დაინდონ...

**ინესა მერაბიშვილი**

**65 წელი გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალებიდან**

## რა სჭირს უცხოეთის აგენტების შესახებ კანონს?!



3



იხ. 4 გვ.

## ადეიშვილის მიერ საგანგებოდ შემოგდებული „ვეტინგი“ არ ამოქმედდება

მოულოდნელი რაკურსით

## ფარაჯანოვიც კი არ მალავდა თავის ორიენტაციას, მაგრამ... არავინ ერჩოდა, სანამ საბჭოთა ხელისუფლების ლანძღვა-გინება არ დაიწყო!..



იხ. 5 გვ.



6

გოგი კვარაცხელია

## ახალი უკაშხლო ჰიდროელექტროსადგური და მის ბაზაზე გამოსამუშავებელი ელექტროენერგიის კომბინირებული სისტემა



# პრემიერ-მინისტრი იაპონიის და დანიის ელჩებს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, იშიძუკა ჰიდეკის შეხვდა.**

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა მიმართულებით ორ ქვეყანას შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე; განიხილეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების პერსპექტივები. ირაკლი კობახიძემ დიპლომატს დაუდასტურა საქართველოს მთავრობის მზადყოფნა, კიდევ უფრო განვითარდეს პარტნიორობა ინვესტიციების, ექსპორტის ზრდის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი ერთობლივი პროგრამების განხორციელების კუთხით.

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ენ ტოფტ სორენსენს შეხვდა.**



შეხვედრაზე საუბარი შეეხო დანიის სამეფოსა და საქართველოს შორის არსებულ თანამშრომლობას ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში. ხაზგასმით აღინიშნა თბილისში დანიის სამეფოს საელჩოს გახსნის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების ხელშეწყობისთვის.

ყურადღება გამახვილდა ეკონომიკისა და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობაზე. დადებითად შეფასდა დანიასა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენა, რაც ხალხთაშორისი კავშირებისა და ტურიზმის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს.

# ქვეყანას უფრო უჭირს თუ... რადიკალურ ოპოზიციას?!

**ნახევარი მილიონი დოლარი სოციალურ ქსელში დახარჯულ რეკლამებში – ამერიკელი პიარ-კონსულტანტის დავალებით მიმდინარე კამპანიის შესრულება ოპოზიციას სოლიდური თანხა უჯდება, ისევე, როგორც თავად როზნერის მომსახურება.**

გახარჯული ფინანსების ოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია სოციალურ ქსელშივე იძებნება. ამ კამპანიის მიზანი ქვეყანაში ცხოვრების პირობების გაუარესების წარმოჩენაა.

**სოციალურ ქსელში, როგორც ჩანს, გიორგი ვაშაძე და მისი ფინანსები ლიდერობენ – „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერს სოცმედიაში რეკლამაზე 180 000 დოლარი აქვს გადახდილი. მეორე ადგილზეა „ლელო“, რომელმაც უკვე 100 000 დოლარი გადაიხადა. მესამე ადგილს იკავებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თითქმის 74 000 დოლარის ღირებულების რეკლამირებით. შემდეგ მოდის მამუკა ხაზარაძე 73 800 დოლარით, მას მოჰყვება „სტრატეგია აღმაშენებლის“ გვერდი დახარჯული 40 000 დოლარით. მეექვსე ადგილზეა „ლელოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბადრი ჯაფარიძე - 27 000 დოლარით. ჯამში რადიკალურ ოპოზიციურ პარტიებს 500 000 დოლარი აქვთ დახარჯული იმის რეკლამირებაში, რომ საზოგადოება დააჯერონ, თუ როგორ უჭირს ქვეყანას.**

# კახა კალაძე: „ლელო“ არასერიოზული პარტიაა, უკვე აიბლანდნენ ერთმანეთში



**არ ვიცი, რამდენად სერიოზულად უნდა მივიღოთ ხაზარაძის განცხადება, იმდენ სისულელეს ვისმენთ მათი პარტიის წარმომადგენლებისგან. მერე უკვე აიბლანდნენ ერთმანეთში, ერთი ერთს ამბობს, მეორე – მეორეს, პენსიებთან, ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით და ა.შ,** – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ „ლელოს“ ლიდერის, მამუკა ხაზარაძის განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომელიც ქვეყანაში 200 000 სამუშაო ადგილის შექმნას ეხება.

კალაძის თქმით, „ლელოსა“ და მისი ლიდერის განცხადებები უარგუმენტო და მანიპულაციურია. **„არასერიოზული პარტიაა და მათი განცხადებებიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია: არანაირი არგუმენტაცია, არანაირი კონკრეტიკა. ქართველი ხალხი არ მოტყუვდება ამ მანიპულაციით“**, – განაცხადა კახა კალაძემ.

# დავით კეზერაშვილი თაღლითია, არავის შერჩება მძიმე დანაშაული!

**თაღლითი და კრიმინალია დავით კეზერაშვილი თავისი წარსულიდან და აწმყოდან გამომდინარე,** – ასე გამოეხმაურა თბილისის მერი კახა კალაძე მედიასთან ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, აშშ-მა საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილს ვიზა არ მისცა. მისივე განმარტებით, სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში ამ მიმართულებით გამოძიება დაწყებულია და მსგავსი დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება.

**„ცხადია, ეს ადამიანი თაღლითი და კრიმინალია თავისი წარსულიდან გამომდინარე და აწმყოშიც რაც იკადრა, უმძიმესი დანაშაულია, თაღლითური გზით ასი ათასობით პენსიონერი გააუბედურა. ევროპულ ქვეყნებში გამოძიებაც დაწყებულია. არავის შერჩება ასეთი მძიმე დანაშაული“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

# აიღეთ ახალი პირადობის მოწმობები!

**„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების თანახმად, 2024 წლის 1 ივლისიდან, უქმდება 2011 წლის 28 ივლისამდე გაცემული არაელექტრონული (ლამინირებული) პირადობის მოწმობები.**

2024 წლის 15 მარტიდან იუსტიციის სამინისტრო არაელექტრონული (ლამინირებული) პირადობის მოწმობების მფლობელთათვის უზრუნველყოფს პირადობის ელექტრონული მოწმობებით (ID ბარათით) უსასყიდლოდ ჩანაცვლებას. 2011 წლის 28 ივლისამდე გაცემული არაელექტრონული (ლამინირებული) პირადობის მოწმობის პირადობის ელექტრონული მოწმობით (ID ბარათით) უსასყიდლოდ ჩანაცვლების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმართეთ იუსტიციის სახლებსა და მობილურ იუსტიციის სახლებს.

# „ლიბერთი“ ბანკი: სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 150 000-მდე პენსიის მიმღებ პირს შეუმცირდება!

**„ლიბერთი“ ბანკი საპენსიო სესხებზე პროცენტის კლებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ პენსიით უზრუნველყოფილ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეუმცირდება ყველა იმ პირს, ვისაც არ უსარგებლია 2023 წელს დაწესებული განახლებული პირობებით.**

„ლიბერთი“ აცხადებს, რომ 15 მარტიდან განახლდება პირობები იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც სარგებლობენ 2023 წლის 1 იანვრამდე გაცემული პენსიით უზრუნველყოფილი სესხებით. კერძოდ, „ლიბერთი“ ბანკის გადაწყვეტილებით, პენსიით უზრუნველყოფილ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეუმცირდება ყველა იმ პირს, ვისაც არ უსარგებლია 2023 წელს დაწესებული განახლებული პირობებით. შესაბამისად, ცვლილება შეეხება 2023 წლის 1 იანვრამდე გაცემულ საპენსიო სესხებსა და ოვერდრაფტებს. ამ ცვლილების შედეგად 150 000-მდე პენსიის მიმღებ პირს ავტომატურად დაუკორექტირდება სესხის მიმდინარე პირობები და საპროცენტო განაკვეთი გაუტოლდება განახლებული პირობებით გაცემული სესხების პროცენტს.

# პარკირება და ქუჩების შევიწროება დედაქალაქის ურთულეს პრობლემად იქცა

**დედაქალაქში სულ უფრო თვალში საცემი ხდება ავტომობილების პარკირების პრობლემა. მანქანების გასაჩერებელი ადგილები, გაზრდის ნაცვლად, მცირდება, ხოლო ქუჩების სავალი ნაწილი მცირდება. ეს კი საბოლოოდ იწვევს ქაოსს და აფერხებს სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობას.**

საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **მევლუდ მელაძის** შეფასებით, ზონალურ-საათობრივმა პარკინგმა ქალაქში არსებული სიტუაცია ვერ მოაწესრიგა. ყველაფერი იქით მიდის, რომ ადამიანები ძალდატანებით გადასვან მანქანებიდან ველოსიპედებზე.

**„ზონალურ პარკირებას მრავალი პრობლემა აქვს. კონსტიტუციურად, მე არ მაქვს იმის ვალდებულება, რომ ტელეფონი მქონდეს ან აპლიკაცია, ან ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. ყველა ქვეყანაში, სადაც თუ პარკირების სისტემაა, იქ სპეციალური დანადგარებია, სადაც გადმოსვლის შემდეგ იხდი ბარათით, ან ნაღდი ფულით. ამდენი ფული შედის ბიუჯეტში, მინიმუმ ეს სერვისი უნდა არსებობდეს“**, – აღნიშნა **მევლუდ მელაძემ.**

**„ყველაფრის გათვალისწინებით, პოლიტიკა იქით მიდის, რომ შემცირ-**



**დეს საპარკინგე ადგილები და გადავსხდეთ ველოსიპედზე. ჩვენი ქალაქი არ არის იმ კონსტრუქციის, რომელიც იქნებოდა ველოსიპედებისთვის მოსახერხებელი. ზაფხულში ძალიან ცხელა, ბევრი აღმართ-დაღმართი და მტვერია. ასევე, ისიც უნდა ითქვას, რომ უსაფრთხოდ ვერ იქნები ველოსიპედით თბილისის ქუჩებში გადაადგილებისას“**, – აღნიშნა **მევლუდ მელაძემ.**

იურისტი და სამოქალაქო უფლებების სპეციალისტი **გვანცა ჟორჟოლიანიც** ადასტურებს, რომ თბილისში ზონალურ საათობრივი პარკირების ზონებში არის შემთხვევები, როცა მძღოლები აპლიკაციით სარგებლობას ვერ ახერხებენ, ასეთ დროს მათ უნდა დარეკონ მერიის ცხელ ხაზზე, ოპერატორს მიაწოდონ ინფორმაცია, რომ აპლიკაციას აქვს პრობლემა და ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის თანამშრომელს ჯარიმის დაწერის უფლება არა აქვს.

**თუ მოქალაქეს სურს პარკირების ჯარიმის გასაჩივრება, მან, პირველ რიგში, უნდა გამოითხოვოს სამართალდარღვევის აქტი, რომლის საფუძველზეც ჯარიმა დაიწერა და ამ აქტით უნდა მიმართოს მერიას განცხადების შესაბამისი ფორმით. მერიის პასუხის მიღების შემდეგ, მოქალაქე თავად წყვეტს მიმართავს თუ არა სასამართლოს.**

ამის გარდა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში თბილისი სიმაღლეში იზრდება და არა სიგანეში, რაც დაკავშირებულია უკონტროლო მშენებლობებთან და ქალაქის იერსახის დამახინჯებასთან.

**„თბილისი იზრდება სიმაღლეში და არა სიგანეში, ერთ ადგილას აკუმულირდება ამდენი ავტომობილი და საპარკინგე სივრცე არ რჩება. მშენებლობები ძალიან სპონტანურად მიმდინარეობს. უცებ რაღაც აღმოცენდება, მერე მეორე და ასე უსასრულოდ. ერთმანეთსაც კი არ ჰგავს და ქალაქი უსახური ხდება. ამაზე მერიამ უნდა იზრუნოს, თითოეულ ბინაზე საპარკინგე სივრცე უნდა იყოს, რომ ცალკე ყიდვა არ დასჭირდეს მყიდველს“**, – განაცხადა „რადიო პალიტრის“ ეთერში **მევლუდ მელაძემ.**

**საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში თბილისი სიმაღლეში იზრდება და არა სიგანეში, რაც დაკავშირებულია უკონტროლო მშენებლობებთან და ქალაქის იერსახის დამახინჯებასთან.**

იხ. 4 გვ.

**ბოლო თვეების განმავლობაში აფხაზეთში დიდი მღელვარებაა, განხილვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას კი აფხაზური „პარლამენტის“ მიერ უცხოეთის აგენტების შესახებ კანონის შესაძლო მიღება წარმოადგენს.**

**თუ იმით ვიმსჯელებთ, რომ განხილვა ამ დრომდე ჭიანურდება, კანონის მიღება დიდად არც დე ფაქტო ხელისუფლებას სურს, მაგრამ კურატორები უკიჟინებენ და მათ რაღაც პასუხი უნდა გაეცეთ. აფხაზებიც პასუხობენ – ნუ ღელავთ, ვიხილავთ, მალე მივიღებთ, თუმცა ვადებს ვერ დაგიკონკრეტებთო!**




# რა სჭირს უცხოეთის აგენტების შესახებ კანონს?!

უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი – ეს ერთგვარი საყოველთაო წითელი ნაჭერია, რომლის დანახვაზე თავისუფლებისმოყვარე ერებში მყისიერად იწყება ღელვა. რა წერია მასში და რა ზიანის მიყენება შეუძლია სახელმწიფოს კანონის საფუძველზე პირებისთვის, რომლებიც აგენტებად გამოცხადდებიან, დიდად არავის აინტერესებს – ყველა აპრიორი წინააღმდეგია და ხმამაღლა აპროტესტებს.

ზიანი კი კანონის მიმღებებზეა დამოკიდებული და უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის შემთხვევაში პროექტი საკმაოდ მკაცრია. ამასთან, არავინ მსჯელობს სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ დაგეგმილი რეპრესიული ზომების შემარბილებელი შესწორებების შეტანაზე – ყველასთვის თავად ამგვარი კანონის იდეაა მიუღებელი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქმე მხოლოდ დოკუმენტის შინაარსში არაა.

**გასულ წელს, ზუსტად ამ დროს, ანალოგიური მღელვარება იყო თბილისში: საქართველოს ხელისუფლებას ასევე სურდა, უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი მიეღო, თუმცა ამას მასშტაბური პროტესტი მოჰყვა. მას შემდეგ, რაც მღელვარება ახალგაზრდა აქტივისტებსა და პოლიციას შორის სამდღიან ბრძოლაში გადაიზარდა, კანონი ჩააგდეს და თემა დღის წესრიგიდან მოიხსნა.**

აფხაზეთში საქმე აქამდე ჯერ არ მისულა – შესაძლოა, იმიტომ, რომ დე ფაქტო ხელისუფლება მეტ გონიერებას იჩენს და საკუთარ ხალხსაც უფრო მეტად უწევს ანგარიშს, ვიდრე ყველა ორიენტირდაკარგული „ქართული ოცნება“. თუმცა ფაქტია, რომ სოხუმში მსგავსი კანონის მიღების საფრთხე რეალურია.

**მაინც რაშია საქმე? რატომ აშინებს და აგრაზებს უცხოეთის აგენტების შესახებ კანონის გაგონება ყველას?**

ინიციატორების მთავარი არგუმენტი ასეთია: „ანალოგიური კანონი მოქმედებს აშშ-შიც (FARA) და თუკი დემოკრატიის შუქურისთვის შეიძლება, ჩვენთვის რატომ არაო?“ ვინაიდან უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი სჭირდებათ სწორედ იმ ხელისუფლებებს, რომლებიც სიცრუესა და პროპაგანდაში იძირებიან, არაფერია გასაკვირი, რომ მათი მხარდამჭერები ამაშიც ცრუობენ – უფრო სწორად, ამბობენ ნახევრადსიმართლეს, რაც კიდევ უარესია. საქმე იმაშია, რომ აშშ-ში მსგავსი რეგულაციების ძირითად ობიექტს ლობისტური კომპანიები წარმოადგენს. მოგეხსენებათ, ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ლობიზმი ოფიციალურადაა ნებადართული და ასობით ლობისტური კომპანია სრულიად კანონიერ საფუძველზე მოქმედებს.



**ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა – ეს სიმბოლოა. ამ კანონის მიღებით აჩვენებთ, რომ თქვენი კურსი მიმართულებას იცვლის. ეს არის დემონსტრირება განზრახვისა, სულ უფრო მეტად აკონტროლო საზოგადოება და ჩაერიო მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში. ამ კანონის მიღებით აჩვენებ, სადაა შენი ფასეულობათა სისტემა და რა მიმართულებით აპირებ სვლას მომავალში.**

**პრაქტიკაში ეს დაახლოებით ასე ხდება: დავუშვათ, ძაღლებისთვის კუდების საჭრელი დანების მსოფლიოში საუკეთესო მწარმოებელი ხართ, თქვენი დანები იდეალურია და ცხოველებს კუდებს ისე აჭრის, რომ ისინი არათუ ვერაფერს გრძნობენ, სიამოვნებასაც კი იღებენ; ახლა გჭირდებათ მხოლოდ მცირედი - კონგრესმა მიიღოს კანონი, რომელიც ძაღლების ყველა მფლობელს მათი ცხოველებისთვის კუდების მოჭრას დაავალდებულებს. ამისათვის მიდიხართ ლობისტურ კომპანიაში, უხდით საკმაოდ დიდ თანხას – და ისიც იწყებს საჭირო კამპანიას მედიაში, პოულობს ექსპერტებს, რომლებიც სატელევიზიო ეთერებში ირწმუნებიან, „მსგავსი კანონის მიღების გარეშე კაცობრიობას პერსპექტივა არა აქვსო“, პოულობს გზებს კონგრესის წევრებამდე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებამდე მისაღწევად და შესაგამის სამუშაოს აწარმოებს მათთანაც.**

თუ ვინმეს უფრო დეტალურად გაინტერესებთ, როგორ მუშაობს ლობიზმის ამერიკული სისტემა, ნახეთ ფილმი „კაზინო ჯეკი“ კევინ სპეისის მონაწილეობით – უმალვე ყველაფერს გაიგებთ.

მაგრამ ლობისტური საქმიანობა გარე ძალების ჩარევის ძალზე მაღალ რისკებსაც შეიცავს: თუ კუდების მოსაკვეთ დანებს აწარმოებ, ეს ერთია, მაგრამ თუ პუტინის ან ამხანაგი სის წარმომადგენელი ხარ – სულ სხვა რამ...

მთლიანობაში, თავად უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი სხვადასხვა სიმძიმის შეიძლება, იყოს. რუსეთში იგი რეპრესიული მანქანის ერთ-ერთ ბერკეტად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ გამოყენებითი დანიშნულება აქვს: თუ ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით განსხვავებული აზრის მოსპობა სურს, გამოსადეგ ინსტრუმენტს ყოველთვის იპოვის, უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი კი მართალია, რეპრესიულ მანქანას საქმეს უადვილებს, მაგრამ თავად ამ მანქანას არ ქმნის.

გასულ წელს, ზუსტად ამ დროს, ანალოგიური მღელვარება იყო თბილისში: საქართველოს ხელისუფლებას ასევე სურდა, უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი მიეღო, თუმცა ამას მასშტაბური პროტესტი მოჰყვა. მას შემდეგ, რაც მღელვარება ახალგაზრდა აქტივისტებსა და პოლიციას შორის სამდღიან ბრძოლაში გადაიზარდა, კანონი ჩააგდეს და თემა დღის წესრიგიდან მოიხსნა.




**ამასთან, პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მცდელობები ფუჭია მცირე საზოგადოებებში, სადაც ყველამ იცის, ვინ ვინაა და ვინმეს მიერ ვინმესთვის აგენტის იარლიყის მიწებება რეპუტაციას ვერაფის შეულახავს. „აგენტების“ საჯარო „მხილებამ“ ჯაშუშომანიის, პარანოიისა და ქსენოფობიის მდიდარი ტრადიციების მქონე უზარმაზარ რუსეთშიც კი ვერ იმუშავა და ძნელი წარმოსადგენია, „უცხოეთის აგენტები“ საყოველთაო გაკიცხვის ობიექტად აქციოს აფხაზეთში. თუ ვინმეს ამის იმედი აქვს, აფხაზებს უბრალოდ არ იცნობს.**

მაგრამ რატომ არაა სოხუმში ამ კანონპროექტის ირგვლივ არანაირი დისკუსია, თუნდაც მისი შერბილების მცდელობები მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად? საქმე იმაშია, რომ არსებობენ კანონები-სიმბოლოები, რომლებიც თავისთავად პრაქტიკულად არაფერს ნიშნავენ, მაგრამ კურსის შეცვლაზე მიუთითებენ.

ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონი. არსობრივად, ნებისმიერი მსგავსი კანონი მკვდრადშობილია, რადგან არავითარი ლგბტ პროპაგანდა ბუნებაში არ არსებობს: გეი ვერ გახდები, გეად უნდა დაიბადო, ხოლო თუ დაიბადე, არავითარი პროპაგანდა არ გჭირდება და ბუნება, ადრე თუ გვიან, თავისას იზამს.

ის, რასაც სადღეისოდ ისევ და ისევ რუსეთში ვხედავთ – გეების დევნა – არც ერთ კანონში არ ფიგურირებს, არ არსებობს არანაირი პუნქტი, რომელიც ნებისმიერი ორიენტაციის მქონე ადამიანებს დახურულ კლუბებში და მით უფრო საკუთარ ბინებსა თუ სახლებში შეკრებას უკრძალავს. ამ შემთხვევაში პროპაგანდის ამკრძალავი კანონი უბრალოდ ფონის როლს ასრულებს, პუტინი კი თავისას აკეთებს – გინდ კანონით, გინდ მის გარეშე.

**ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა – ეს სიმბოლოა. ამ კანონის მიღებით აჩვენებთ, რომ თქვენი კურსი მიმართულებას იცვლის. ეს არის დემონსტრირება განზრახვისა, სულ უფრო მეტად აკონტროლო საზოგადოება და ჩაერიო მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში. ამ კანონის მიღებით აჩვენებ, სადაა შენი ფასეულობათა სისტემა და რა მიმართულებით აპირებ სვლას მომავალში. ასევეა უცხოეთის აგენტების შესახებ კანონის შემთხვევაშიც. მისი ყველაზე უწყინარი ვერსიაც კი სიმბოლოა თქვენი პოლიტიკური კურსის ცვლილებისა, იმისა, რომ ახლა თქვენი ოპონენტები არა უბრალოდ მტრები არიან, არამედ უცხოეთის აგენტები, ხოლო ვინც თქვენს გვერდში არაა, ყველა მტერია.**

ამჟამინდელ პირობებში უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი პოლიტიკური პოლარიზაციისა და სიძულვილის ენის ტრიუმფია. დღეს ამ კანონის საფუძველზე შესაძლოა, არავინ დააკავონ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ის მტრების ძიებისა და ზეწოლის ზრდის ხილული სიმბოლოა. აი, რატომ სძულს ყველას უცხოეთის აგენტების შესახებ კანონი, მათ შორის – აფხაზეთშიც.

**თენგიზ აბლოთია**



# ადეიშვილის მიერ საგანგებოდ შემოგდებული „ვეტინგი“ არ ამოქმედდება



**გადაწყვეტილება მიღებულია – ზურაბ ადეიშვილის მიერ უკრაინაში ჩატარებული სასამართლოს ე.წ. რეფორმა და მისი მოადგილის, ნონა წოწორიას მიერ მოლდოვაში ჩატარებული რეფორმები საქართველოში აღარასდროს ჩატარდება. საქართველოს ხელისუფლებისთვის კატეგორიულად მიუღებელია „ვეტინგის“ სისტემის შემოღება, რომელიც კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება.**

აღსანიშნავია, რომ „ვეტინგის“ მსგავსი სისტემა საქართველოში ჯერ კიდევ 2003 წელს ჩატარდა, რაც გამოიხატა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სასამართლოს სრულ დამორჩილებაზე. სწორედ, **სააკაშვილი-ადეიშვილის** რეჟიმმა ე.წ. რეფორმით დაიმორჩილა სასამართლო სისტემა. დღეს, „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ ცდილობს ქართულ პოლიტიკურ ველზე ერთხელ უკვე ნაცადი მეთოდის შემოტანას და ამჯერად „ვეტინგის“ სახელით.

აღსანიშნავია, რომ „ვეტინგთან“ დაკავშირებით შემოთავაზებულია ისეთი ფორმა, რომელიც გულისხმობს არა მოსამართლეების შემოწმებას, არამედ მათი თანამდებობაზე განწესების რევიზიას, რაც წინააღმდეგობაშია კონსტიტუციასთან. „ვეტინგი“. სულ რამდენიმე ქვეყანაში არსებობს და მდგომარეობა ფასდებოდა, როგორც კატასტროფა. რაც შეეხება „ვეტინგს“ ეს არის პროცესი, როცა თანამდებობაზე განწესებისთვის მომზადებული ადამიანების შემოწმება ხდება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში აცხადებენ, რომ ე.წ. „ვეტინგი“ ერთმნიშვნელოვნად, არსებითად და პრინციპულად ლახავს სასამართლოსა თუ ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას და მიზნად ისახავს „კეთილსინდისიერების“ შემოწმების საჭიროების თაობაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციას, რათა გაადვილდეს პოლიტიკური კონტროლის განხორციელება სასამართლო ხელისუფლებაზე.

**„ნათელია, რომ ე.წ. ვეტინგი არ მიეკუთვნება საერთაშორისო სტანდარტს, უხეშად ლახავს სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ითვალისწინებს რა სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს – სასამართლოს დაკომპლექტების მექანიზმების გარე აქტორების ხელში გადატანას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის, ინდივიდუალური მოსამართლისა თუ მოსამართლეთა ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული ღირსების, დამოუკიდებლობის, ინსტიტუციური რეპუტაციის შემლახველ პროცედურას“,** – აღნიშნულია უზენაესი სასამართლოს განცხადებაში.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის **მამუკა მდინარაძის** თქმით, ის ქვეყნები, სადაც „ვეტინგი“ დანერგეს, სასამართლოსთან დაკავშირებულ ყველა მსოფლიო რეიტინგში რამდენიმე ათეული ქულით უკან არიან. მისი თქმით, ეროვნული ამოცანაა საქართველოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ყოველთვის საქართველოს მოქალაქემ მიიღოს.

**„როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ სადაც ეს პრინციპი დანერგეს, ის ქვეყნები სასამართლოსთან დაკავშირებულ ყველა მსოფლიო რეიტინგში რამდენიმე ათეული ქულით უკან არიან, ბუნებრივია, იმ ქვეყნებისთვის მიბაძვას არ ვაპირებთ, რომლებმაც უკან დაიხიეს ასეთი რეფორმების კეთებით. შესაბამისად, თუკი ამას ემატება ის ეროვნული ამოცანა, რომ არასდროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა გადაწყვეტილებები საქართველოსთან დაკავშირებით არ მიიღონ და მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება ყოველთვის საქართველოს მოქალაქემ, მაშინ გასაგებია, რატომ არ ვეთანხმებით „ვეტინგს“,** – აღნიშნა **მამუკა მდინარაძემ.**

„ევროოპტიმისტების“ ლიდერი **ხატია დეკანოიძე** აცხადებს, რომ გაუგებარია, რატომ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები კეთილსინდისიერების რაიმე ტესტის გავლას. მისი თქმით, როგორც ჩანს, ძალიან ეშინიათ საკუთარი სინდისის სისუფთავის.

**„არც ერთ მოსამართლეს და მოსამართლეთა ჯგუფს არ აქვს უფლება, უზენაესი სასამართლოს სახელით მსგავსი განცხადება გაავრცელოს. კეთილსინდისიერების შეფასების, მათ შორის, კორუფციული შემთხვევების დადგენის ერთ-ერთი მეთოდია „ვეტინგის“ სისტემა. ის საგამონაკლისო და არასტანდარტული პროცესია, რომელიც ჩვენი ტიპის რამდენიმე ქვეყანამ გამოიყენა მართლმსაჯულების სისტემაში.**

**მაგალითად, „ვეტინგი“ კოსოვოსა და ალბანეთში განხორციელდა. მას შემდეგ, რაც ალბანეთმა ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი მიიღო და მისთვის გაიცა რეკომენდაცია სასამართლო სისტემის გაჯანსაღების შესახებ, ალბანეთის პარლამენტში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები და დაიწყო „ვეტინგის“ პროცედურა“,** – აცხადებს **ხატია დეკანოიძე.**

ოპოზიციონერი დეპუტატის **თეონა აქუბარდიას** განცხადებით, „ვეტინგი“ არც ოპოზიციის აკვიატებაა და არც არასამთავრობო სექტორის, ეს არის ვენეციის კომისიის რეკომენდაცია. თუმცა, მისი თქმით, ხელისუფლება ამ შემთხვევაში „კლანს“ იცავს და ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს.

**„ამ მოცემულობაში საოცარია, როდესაც უზენაესი სასამართლო აკეთებს ამ განცხადებას, მათ შორის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისგან კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ მთელი ეს ბრძოლა „კლანის“ დასაცავად ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება. როდესაც ამხელა ანტიდასავლური პროპაგანდა ისმის „ქართული ოცნების“ მხრიდან, ლამის სუვერენიტეტში ჩარევა დააბრალეს ევროკავშირს და ევროკომისიას ამ რეკომენდაციიდან გამომდინარე, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ სასამართლოში „კლანი“ ძლიერია და „ქართული ოცნების“ მხრიდან გარანტირებულია იმ მოსამართლეების ხელშეუხებლობა, რომლის სავარაუდო კორუფციული გზით გამდიდრების შესაძლებლობა არსებობს“,** – აცხადებს **თეონა აქუბარდია.**

ანალიტიკოსი **თამთა მეგრელიშვილი** კი ფიქრობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ე.წ. ვეტინგის სისტემის შემოღებას ითხოვენ, რაც მოსამართლეების შემოწმებას და მათ გათავისუფლებას გულისხმობს. როგორც მეგრელიშვილი აცხადებს, მათი იდეაა, რომ საქართველოში სასამართლოს დაკომპლექტების პროცესი უცხო ქვეყნების საელჩოების მიერ წარიმართოს.

**„ვეტინგის“ გზით მოსამართლეთა და პროკურორთა შემადგენლობის განახლებას განვითარების პროცესში მყოფი ქვეყნები მიმართავენ მართლმსაჯულების სფეროში სისტემურ უნდობლობასა და უსამართლობასთან საპასუხოდ. „ვეტინგის“ პრაქტიკის შემოტანა ქართულ სახელმწიფოშიც უნდათ და არ ხდება ქართული რეალობის გათვალისწინება.**

**„ვეტინგის“ იდეა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და თავად „ვეტინგის“ იდეას, რადგან ქართულ სახელმწიფოში მართლმსაჯულების განხორციელების უფლებრივი პრაქტიკა ამ საცდელი მოდელის გამოყენების უფლებას არ იძლევა“,** – ამბობს **მეგრელიშვილი.**

მისი თქმით, არაერთი ქვეყნის პრაქტიკა მოწმობს, რომ „ვეტინგის“ გამოცდილება მართლმსაჯულების გაჯანსაღებისთვის საკმარისი არ არის და მასთან ერთად საჭიროა პრობლემებზე კომპლექსური მუშაობა და სხვაგვარი გამოცდილებაც.

**„თავად ევროკავშირმა სხვადასხვა ქვეყნის ამგვარი გამოცდილების შეფასებით, გააკრიტიკა ინიციატივა ყველა მოსამართლე-პროკურორის „ვეტინგის“ შესახებ, რადგან მიიჩნია, რომ ეს მეთოდი მოსამართლე-პროკურორთა დიდი ნაწილის გათავისუფლებას და, შესაბამისად, ამ ორგანოების დისფუნქციას იწვევს. ასე რომ, „ვეტინგის“ პრაქტიკა არ ამართლებს და ეს იდეა საგანგებოდ, გაუაზრებლად შემოგდებული თემაა, ოპოზიციური სპექტრის ვითომ საქმიანი იმიჯის შესაქმნელად“,** – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **თამთა მეგრელიშვილმა.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

# პარკირება და ქუჩების შევიწროება დედაქალაქის ურთულეს პრობლემად იქცა

(მეორე გვერდიდან) თბილისში მცხოვრები ადამიანები თვეში მინიმუმ – 20 საათს, წელიწადში კი 240 საათს საცობში ატარებენ. ბოლო 30 წლის განმავლობაში ქალაქი ქაოსურად შენდება. ზოგ ქუჩაზე 4 მეტრის სიგანის გზაზე ორმხრივად არის მრავალსართულიანი კორპუსები ჩადგმული და პარკინგი არც ერთს არა აქვს.

ვისი ბრალია საცობები და როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა, ამასთან დაკავშირებით სატრანსპორტო დარგის ექსპერტს **დავით მესხიშვილს** თავისი მოსაზრება აქვს.

**„გადატვირთული საგზაო მოძრაობა, ნაწილობრივ, თითოეული ჩვენგანის დამსახურებაა. პირველ რიგში, ბოლო 30 წლის განმავლობაში ქალაქის ქაოსური განაშენიანება მიდის. ზოგ ქუჩაზე 4 მეტრის სიგანის გზაზე ორმხრივად არის მრავალსართულიანი კორპუსები ჩადგმული და პარკინგი არც ერთს არა აქვს. ასეთ ადგილებში, სადაც საზოგადოებრივ ტრანსპორტს ვერ „აწვდი“ მოსახლეობას, იმიტომ, რომ ფიზიკურად არ ეტევა, ყველა ყიდულობს ავტომობილს და მათი რაოდენობაც იზრდება და იზრდება. ზოგ ოჯახში 3-ზე მეტი ავტომობილია. პირველი, რაც მერიამ უნდა გააკეთოს, საკმარისი რაოდენობის ავტობუსებით უნდა მოამარაგოს ქალაქი და შეკრას ავტობუსის ზოლი. შეიძლება, ბევრი ავტობუსი გვყავდეს, მაგრამ თუ მიწოდება დარღვეულია, 200 000 ავტობუსიც რომ იყოს, აზრი არა აქვს. მერიამ ავტობუსები უნდა დაიხსნას საცობიდან“,** – განაცხადა მესხიშვილმა.

გარდა ამისა, გამოსავალი სხვადასხვა ორგანიზაციის ქალაქის ცენტრიდან პერიფერიებში განაწილებაშია. ის სამსახურები კი, რომლებიც შეიძლება დისტანციურად იყოს, ონლაინ რეჟიმზე უნდა გადავიდეს.

**„ყველა ერთდროულად არ უნდა ვიღვიძებდეთ და მივდიოდეთ ყველგან. სკოლა და სამსახური სხვადასხვა დროშია გადასაყვანი. ასევე, გარკვეული დაწესებულებები ქალაქის ცენტრიდან უნდა გავიყვანოთ, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურები, სამინისტროები, ორგანიზაციები, სადაც მოსახლეობას ხშირად უწევს მისვლა. მოძრაობის პერიფერიებში გადანაწილება საერთაშორისო მიდგომაა“,** – აღნიშნა **მესხიშვილმა.**

**ბექა დანელია**

# გარემოს ეროვნული სააგენტო 22 მყინვარული მდინარის ხეობის კვლევას იწყებს

**გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის კლიმატის გრძელვადიანი პროგნოზის თანახმად, მიმდინარე და მომდევნო წლებში მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის მატება, რაც მყინვარებზე უარყოფითი პროცესების გამწვავებას შეუწყობს ხელს.**

შესაბამისად, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში, შესაძლოა, სტიქიური პროცესების განვითარების რისკები გაიზარდოს.

**მყინვარულ ხეობებში საფრთხეების ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, დასახლებული პუნქტებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტებისათვის საჭიროა გლაციალური, კასკადური საფრთხეების გამოვლენა და რისკების დეტალური შეფასება, ასევე, რისკის ზონებში არსებული დასახლებული პუნქტების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.**

აღნიშნული კვლევების განხორციელება მიზნად ისახავს მყინვარულ ხეობებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო სტიქიური მოვლენების განვითარებით მიყენებული უარყოფითი შედეგების მაქსიმალურ შერბილებას.

**კვლევის განხორციელება ორ ეტაპად იგეგმება. პირველი ეტაპი – მყინვარებზე არსებული საფრთხეების განსაზღვრას, ხოლო მეორე ეტაპი გამოვლენილი საფრთხეების საპრევენციო ღონისძიებების შემუშავებას მოიცავს.**





„ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის მიღება აუცილებელია. არსებობს ცხრა პუნქტი, რომლითაც უნდა დავუახლოვდეთ ევროკავშირს, მის ფასეულობებს. ამ დროს რომელიმე უცხოელმა რომ ჰკითხოს საქართველოს მთავრობის წევრს, თქვენი ფასეულობები როგორია, თქვენ მხარს უჭერთ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას? მთავრობის წევრმა ხომ უნდა გასცეს პასუხი, რომ ჩვენს კონსტიტუციასა და კანონებს ვიცავთ, სადაც აკრძალულია ლგბტ პროპაგანდა“, — აცხადებს „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე.

# ფარაჯანოვიც კი არ მალავდა თავის ორიენტაციას, მაგრამ... არავინ ერჩოდა, სანამ საბჭოთა ხელისუფლების ლანძღვა-გინება არ დაიწყო!..



## პეტრე მამრაძე: ლგბტ პროპაგანდაზე დიდი ფულის კეთება 2012 წელს დაიწყო, როცა 51-ე სკოლის პირდაპირ უცხოელმა მამაკაცებმა კამერების წინ ერთმანეთის კოცნა და პლაკატების გაკვრა დაიწყეს

**— ლგბტ პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებით ოპოზიცია დუმს. შთაბეჭდილება რჩება, რომ ისინი მოთმინებით ელოდებიან, „ქართულმა ოცნებამ“ ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონი დაწეროს და შემდეგ უკვე ეს კანონი არასამთავრობო ორგანიზაციებში მოკალათებული 20 ათასამდე ადამიანის ქუჩაში გამოსაყვანად გამოიყენონ. შემთხვევითი არაა ექსკლუზიურად მოპოვებული „თბილისი პრაიდის“ წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ „თბილისი პრაიდი“ საპროტესტო აქციებს გეგმავს და ამ აქციებში მხარდაჭერას საერთაშორისო დონორებს სთხოვს, როგორც ეს შარშან მარტის მოვლენების დროს მოხდა. ამ თვითაღიარების შემდეგ ქართველი ახალგაზრდების ნაწილი ისევ წამოეგება საპროტესტო ანკესს?**

— თუ „თბილისი პრაიდის“ მიერ საერთაშორისო დონორებისადმი გაგზავნილი წერილი სიმართლეა, მაშინ ეს წერილი ამ არასამთავრობოების კიდევ ერთი გაშიფვრაა. შარშანდელი მოვლენები მინდა გავიხსენო, როცა მარტში თბილისში იმყოფებოდა საერთაშორისო სახელის მქონე პუბლიცისტი, ასაკოვანი კაცი — ობბორნი. მოგეხსენებათ, მაშინ იყო გამოსვლები, „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლა, ეს ადამიანი თავის ცნობილ სტატიაში ასე აღწერდა თბილისში განვითარებულ მოვლენებს: „ჩემს გარშემო ახალგაზრდები არიან, თითქმის ყველამ კარგად იცის ინგლისური და მათ გამოველაპარაკე. ერთ-ერთი მათგანი მეუბნება, მე ვარ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ღამის კლუბების მთავარი მენეჯერი, ჩვენ დავხურეთ კლუბები და მოვუწოდეთ ჩვენს კლიენტებს, საპროტესტო აქციაზე მოსულიყვნენ დემოკრატიის დასაცავად“. ყველასთვის ცნობილია, რომ ახალგაზრდების გარკვეული კონტინგენტი ღამის კლუბებს ეტანება, სადაც შესვლა, მინიმუმ, ასი ლარი ჯდება, ნაკლებს ვერ დახარჯავ, ყოველდღიურად სხედან ამ კლუბებში, მთელ ღამეს იქ ათენებენ და როდისღა მუშაობენ ან სწავლობენ?

**— როგორც ჩანს, გათვლა სწორედ ამ ტიპის ახალგაზრდებზეა, რომლებიც კლუბურ ცხოვრებას ეტანებიან და სწავლისთვის არ სცალიათ. თუკი კოორდინირებული ქმედება იქნება საერთაშორისო დონორების მხრიდან, მაშინ არასამთავრობოებსა და ოპოზიციას კლუბური ცხოვრების მიმდევარი ახალგაზრდების იმედი უნდა ჰქონდეთ?**

— გარკვეულ ჯგუფებში კოორდინაცია ნამდვილად არსებობს. მე ვერ დავიჯერებ, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ღამის კლუბები ჩამორჩნენ მტკვრის მარცხენა სანაპიროს. საპროტესტო აქციები ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონის წინააღმდეგ უახლოეს მომავალში, ალბათ, იქნება. კარგია, რომ მთავრობამ ზომები მიიღო, რომ ძალადობა არ იყოს, რადგან ბევრია გაღიზიანებული საქართველოში ლგბტ დამცველების ძალადობით. ამ ლგბტ პრაიდებს და პარადებს არაფერი აქვთ საერთო ჰომოსექსუალების უფლებების დაცვასთან. ჰომოსექსუალების უფლებები საქართველოში დაცული იყო მაშინაც კი, როცა საბჭოთა კავშირის კანონი მკაცრად სჯიდა ასეთ ქცევებს და ორიენტაციას. იმ პერიოდშიც კი საქართველოში არაერთი ცნობილი ხელოვანი თუ მეცნიერი ასეთი ორიენტაციის იყო, არავითარი სკანდალი არ მომხდარა, თავისიანები ჰყავდათ პარტნიორებად. მაშინდელი საბჭოთა კანონი ქაღალდზე კი არსებობდა, მაგრამ ტრადიციული ტოლერანტობის და მაღალი კულტურის გამო საქართველოს საზოგადოება ამ ადამიანებს არავითარ უსიამოვნებას არ აყენებდა. გვარების დასახელება არ ღირს, მაგრამ გამონაკლისის სახით შეიძლება ერთი ადამიანი დავასახელოთ, რომელიც თვითონაც არ მალავდა თავის ორიენტაციას — ფარაჯანოვი. სანამ ფარაჯანოვმა ანტისაბჭოთა რაღაცების წერა არ დაიწყო, მანამ მას არაფერი ემუქრებოდა, მერე უკვე მოსკოვმა მიიღო ზომები და არა ადგილობრივმა სამართალდამცავებმა. ფარაჯანოვის შემთხვევა სულ სხვაა, ლგბტ პროპაგანდაზე დიდი ფულის კეთება კი — სულ სხვა. ამ საქმეში ფულის კეთება 2012 წელს დაიწყო, როცა 51-ე სკოლის პირდაპირ, ჩამოსულმა უცხოელებმა, გარეგნობით მამაკაცებმა კამერების წინ პოზირება და ერთმანეთის კოცნა დაიწყეს, შემდეგ ლგბტ პროპაგანდის ამსახველი პლაკატები გააკრეს, რამაც ჩვენი მშობლების ბუნებრივი რეაქცია, აღშფოთება გამოიწვია. იმ დღიდან მილიონობით თანხა შემოვიდა ამ საქმეში და ამის შესახებ უცხოელმა დიპლომატებმა მითხრეს.

**— მოსალოდნელია, რომ ლგბტ ანტიპროპაგანდას ოპოზიცია ისევე მონათლავს რუსულ კანონად, როგორც აგენტების შესახებ კანონი მონათლეს. მით უმეტეს, ამის საბაბიც აქვთ, 2022 წლის 27 ოქტომბერს რუსეთის სახელმწიფო დუმამ ერთხმად დაუჭირა მხარი კანონპროექტს, რომელიც კრძალავს პოზიტიური ან თუნდაც ნეიტრალური ინფორმაციის გავრცელებას ლგბტ ადამიანების შესახებ. ანუ ამ შემთხვევაშიც ამოქმედდება ე.წ. რუსული იარლიყი. როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი ხელისუფლება, რომ ისევ რუსეთუმეობა არ დასწამონ?**

— კანონის მიღება ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ აუცილებელია. ხომ არის ცხრა პუნქტი, რომ უნდა დავუახლოვდეთ ევროკავშირს, მის ფასეულობებს. წარმოიდგინეთ, ევროკავშირში წლების წინ ევროკომისრებს, ანუ იმავე მინისტრებს რომ ირჩევდნენ, იტალიიდან იყო ბუტილიონე, ცნობილი მოღვაწე, მას იუსტიციის მინისტრად ნიშნავდნენ, ჰკითხეს ამ კაცს, ცნობილია თქვენი საჯარო გამოსვლები, რომ თქვენ არ ცნობთ ლგბტ ქორწინებას და მიგაჩნიათ, ოჯახის ინსტიტუტია მთავარი, ისევ ამავე აზრს იზიარებთ? მან უპასუხა, მე მორწმუნე კათოლიკე ვარ, არ მიმაჩნია დანაშაულად, როცა ეს ხდება, მაგრამ რაც შეეხება ქორწინებას და, მით უმეტეს, ეკლესიაში, ეს კატეგორიულად მიუღებელია.

მაშინვე ჩააგდეს მისი კანდიდატურა. იმის შემდეგ მსგავსი სკანდალი არ მომხდარა. წარმოიდგინეთ ახლა, როცა 9 პუნქტზე ვმუშაობთ და ვინმე უცხოელმა, ან რომელიმე ჟურნალისტმა ჰკითხოს საქართველოს მთავრობის წევრს, კი მაგრამ, თქვენი ფასეულობები როგორია, თქვენ მხარს უჭერთ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას? მთავრობის წევრმა ხომ უნდა გასცეს პასუხი, რომ ჩვენს კონსტიტუციასა და კანონებს ვიცავთ, სადაც აკრძალულია ლგბტ პროპაგანდა. ამის შემდეგ მთავრობის წევრს ვეღარ შეედავებიან.

**— ერთადერთი კომენტარი, რასაც ოპოზიცია აკეთებს ლგბტ პროპაგანდასთან დაკავშირებით, ის არის, თითქოს ლგბტ პროპაგანდის საშიშროება ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს და ეს ხელისუფლების პიარის ნაწილია. ზოგიერთი მეტისმეტად თამამი ოპოზიციონერი „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს იმაში, რის წინააღმდეგაც „ოცნება“ იბრძვის, ანუ თითქოს „ოცნება“ თავად ეწევა ლგბტ პროპაგანდას ამ თემაზე ამდენი აქცენტირებით.**




— ლგბტ პროპაგანდის მიმართ უკვე რადიკალურად განსხვავებული განწყობებია ევროპაში და მიუღებლად მიაჩნიათ, რაც ხდება. სადაც კი ლგბტ პროპაგანდამ ფეხი მოიკიდა და გავრცელდა „ფასეულობად“, იქ ძალიან სწრაფი დაბერება და კვდომაა, აღარ ჰყავთ გამშვები, თუნდაც იმ ოდენობით, რომ შეინარჩუნონ მოსახლეობის რაოდენობა. სამწუხაროდ, ასეთი სოციუმები დასავლეთის მრავალ ქვეყანაში ძალიან სწრაფად გერდებიან. ქართველებს კი ისედაც პრობლემები გვაქვს დემოგრაფიასთან დაკავშირებით.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, სტუ-ს საპატიო დოქტორი, პოლკოვნიკი გოგი კვარაცხელია მეტად საინტერესო მეცნიერ-მკვლევარია. ის სამეცნიერო წრეებში იმითაც გამოირჩევა, რომ მას აქვს გამოქვეყნებული უამრავი ნაშრომი და პატენტი განსაკუთრებით ტექნიკის სხვადასხვა სფეროში.**

**ბატონი გოგი წლების განმავლობაში მუშაობს ახალი ტიპის საფრენ აპარატებზე, თუმცა ყოველთვის მუდმივი დენის ენერგიაზე იყო ორიენტირებული და საფრენი აპარატების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სწორედ მუდმივი დენის ენერგია მიაჩნდა. ახალი გამოგონება, რომელიც ჩვენს მკითხველს უნდა გავაცნოთ, განეკუთვნება ენერგეტიკის დარგს, კერძოდ, განახლებადი ენერგიის წყაროებს და განკუთვნილია ელექტროენერგიის გენერაციისათვის მდინარეებში თავისუფლად მომდენი წყლის ნაკადებიდან ან წყლის, ქარის და მზის ენერგიებდან ელექტროენერგიის კომბინირებულად გამოსამუშავებლად.**

**ამ მეტად საჭირო და აქტუალური სამეცნიერო მიღწევის შესახებ ვესაუბრებით გამოგონების ავტორს, ბატონ გოგი კვარაცხელიას.**

# ახალი უკაშხლო ჰიდროელექტროსადგური და მის ბაზაზე გამოსამუშავებელი ელექტროენერგიის კომბინირებული სისტემა

**– ბატონო გოგი, თქვენ უკაშხლო ჰიდროელექტროსადგურების კონსტრუქციის ახალი, სუპერთანამედროვე და ბიუჯეტური პროექტი შექმენით. მოგვიყევით, რით განსხვავდება იგი წინამორბედი უკაშხლო ელექტროსადგურებისგან?**

– მოგეხსენებათ, არსებობს უამრავი სხვადასხვა კონსტრუქციის უკაშხლო ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული ტექნიკური ნაკლოვანებებით და ზემოქმედებას ახდენენ უკაშხლო ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის მარგი ქმედების კოეფიციენტზე.

პროექტში (დამზადებული მაქვს კონსტრუქციის საჩვენებელი და საცდელი ნიმუში) ზემოთ მოყვანილი უარყოფითი მხარეები აღმოფხვრილია ჰიდროელექტროსადგურით, რომელიც შეიცავს ნაპირზე განლაგებულ პლატფორმას, გენერატორს, რომელიც კინემატიკურად დაკავშირებულია ტურბინასთან, ორ ტივტივა ელემენტს, სადაც ტურბინა ფორმირებულია უსასრულო ელემენტის ფორმით, მასზე განლაგებული ფრთებით და განთავსებულია ხსენებულ ტივტივა ელემენტებს შორის, რომელიც ხისტად არის მიერთებული მათთან. ხსენებულ პლატფორმაზე შესრულებულია მიმმართველები, რომლებზეც განთავსებულია სამონტაჟო ფილა.

ფილა კონფიგურირებულია იმგვარად, რომ გააჩნია ხსენებული მიმმართველებზე ვერტიკალურ სიბრტყეში გადაადგილების შესაძლებლობა. ფილაზე არის განთავსებული გენერატორი, ხოლო ფრთიანი უსასრულო ელემენტი კონფიგურირებულია იმგვარად, რომ გააჩნია ერთი ჰორიზონტალური და სულ მცირე, ორი დახრილი შტო, რომელიც გარშემოწვდომილია, სულ მცირე, სამ თვალზე, რომლებიც განლაგებულია კარკასზე.

ამ უკანასკნელის კონტურს გააჩნია უსასრულო ელემენტის პროფილის ფორმა. გარდა ამისა, მზიდ ფილაზე დამატებით არის განთავსებული დგარი, რომელთანაც ხისტადაა მიერთებული ტურბინის დამჭერი ღერძი. გენერატორის ტურბინასთან კინემატიკური კავშირი შესრულებულია ჯაჭვური გადაცემის მეშვეობით ლილვთან, რომელიც გადის ხსენებული დამჭერი ღერძის პარალელურად. ლილვის ერთი ბოლო დაკავშირებულია ხსენებული თვლებიდან ერთთან, ხოლო მეორე დგართან, ბრუნვის შესალებლობით.

ტივტივა ელემენტები განლაგებულია იმგვარად, რომ ქმნიან არხს წყლის ნაკადისათვის, დგართან ტურბინის დამჭერი ღერძის მოპირდაპირედ მიერთებულია საპირწონე ტვირთი.

**უარყოფითი მხარეები ასევე აღმოფხვრილია იმითაც, რომ:**

- **უსასრულო ელემენტი შესრულებულია მუხლუხო ლენტის ან ჯაჭვის ან დაკბილული ღვედის ფორმით, თვლები კი ვარსკვლავას ფორმით.**
- **კარკასზე დამატებით განთავსებულია საგორავები უსასრულო ელემენტისათვის.**
- **დამატებით აღჭურვილია მოქნილი მასტაბილიზირებელი ელემენტით, შესრულებული გვარლის ფორმით, რომლის ერთი ბოლო მიერთებულია ტურბინის დამჭერი ღერძის თავისუფალ ბოლოსთან, ხოლო მეორე ბოლო მზიდ ფილაზე დამაგრებულ ჯალამბართან.**





დამატებით აღჭურვილია გარსაცმით უსასრულო ელემენტისათვის, რომელსაც გააჩნია უსასრულო ელემენტის კონტურის ფორმა და რომელიც ეყრდნობა კარკასს.

უარყოფითი მხარეები აღმოფხვრილია, ასევე ელექტროენერგიის გამოსამუშავებელი კომბინირებული სისტემით, რომელიც შეიცავს უკაშხლო ჰიდროელექტროსადგურს, სულ მცირე ერთ ქარ-გენერატორს და სულ მცირე ერთ ფოტო-ელემენტს, შესაბამისად, ქარის და მზის ენერგიის ელექტრულ ენერგიაში გარდასაქმნელად, სადაც უკაშხლო ჰიდროელექტროსადგური შესრულებულია 1-5- მ.მ-ის მიხედვით, ქარ-გენერატორები და ფოტო-ელემენტები განლაგებულია გარსაცმზე; ამასთან, თითოეული ქარ-გენერატორის ტურბინა შესრულებულია საერთო კორპუსში განთავსებული ორი პროპელერისაგან, რომელთაც გააჩნიათ ურთიერთსაწინააღმდეგოდ ბრუნვის შესაძლებლობა ჰაერის ნაკადით და საერთო გამომავალ ლილვზე ერთმიმართული მოძრაობის გადაცემის უზრუნველყოფით.

გამოგონების ტექნიკური შედეგია ეფექტურობის ამაღლება, სიმძლავრის გაზრდა, კონსტრუქციის გამარტივება, საექსპლოატაციო მახასიათებლების გაუმჯობესება და ხანგამძლეობის გაზრდა.

**– რით მიიღწევა ეფექტურობის ამაღლება?**

– ეფექტურობის ამაღლება მიიღწევა იმით, რომ ტურბინა შესრულებულია ფრთებიანი უსასრულო ელემენტის სახით და კონფიგურირებულია იმგვარად, რომ გააჩნია ერთი ჰორიზონტალური და სულ მცირე, ორი დახრილი შტო და გარშემოწვდომილია, სულ მცირე, სამ თვალზე, რომლებიც განლაგებულია კარკასზე, სადაც ამ უკანასკნელის კონტურს გააჩნია უსასრულო ელემენტის პროფილის ფორმა, რადგან ჰორიზონტალური შტოს ფრთები, რომლებიც უშუალო კონტაქტშია წყლის ნაკადთან, გადაადგილდებიან წრფივად და სიჩქარე, დაახლოებით, ტოლია ბუნებრივი დინებისა, რასაც, პრაქტიკულად, ნულამდე დაჰყავს ნაკადში ტურბულენტობისა და დაგრიგალების წარმოქმნის ალბათობა. ჰორიზონტალურ შტოზე განლაგებული ფრთების სიმრავლეზე ნაკადის სწორი კუთხით ზემოქმედების გამო უსასრულო ელემენტზე შემცირებულია არათანაბარი დატვირთვები და წრფივი მოძრაობით იგი გადაადგილდება დიდ მანძილზე და ამიტომ მბრუნავი მომენტი იქნება საკმაოდ მაღალი. ამაგვარი შესრულებით დაბალი დაწნევის წყლის ენერგიაც კი, შესაძლოა, ეფექტურად იყოს გარდაქმნილი მექანიკურ ენერგიაში. გარდა ზემოაღნიშნულისა, მაღალი მბრუნავი მომენტის მიღების შესაძლებლობა უზრუნველყოფს სტაბილურ ბრუნვას და შედეგად, ზოგიერთი გარე ფაქტორი (დაჭუჭყიანება, დღე-ღამის პერიოდი და ა. შ.), ზოგადად, ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ტურბინის მუშაობაზე და ენერგიის გამომუშავებაზე.

სიმძლავრის გაზრდა მიიღწევა არა მარტო ტურბინის მოყვანილი კონსტრუქციით, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, არამედ იმითაც, რომ მოყვანილი კონსტრუქციის ტურბინა განთავსებულია ტივტივა ელემენტებს შორის, ხოლო თვით ტივტივა ელემენტები განლაგებულია იმგვარად, რომ ქმნიან ვიწროვდებად არხს წყლის ნაკადისათვის. ამგვარი შესრულების ფორმით გამოიყენება წყლის პირდაპირი ნაკადის სწორხაზობრივი ზემოქმედება, რაც უზრუნველყოფს ტურბინის ფრთების დარჩენას ვერტიკალურ მდებარეობაში და შედეგად, ნაკადიდან მთელი სიმძლავრის ართმევას (შთანთქმას) ტურბინის ჰორიზონტალური შტოს მთელ სიგრძეზე, გარდა ამისა, ტივტივებით ფორმირებული „ვიწროვდებადი" არხი უზრუნველყოფს ნაკადის ბუნებრივი დინების სიჩქარეზე მეტი სიჩქარით ფრთებზე ზემოქმედებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის მბრუნავ მომენტს და შედეგად საერთო გამომუშავებულ სიმძლავრეს.

ეფექტურობის ამაღლებას და სიმძლავრის გაზრდას ასევე ხელს უწყობს ტურბინის უსასრულო ელემენტის ფორმირება სულ მცირე ორი დახრილი შტოთი და მათი შესრულება მუხლუხო ლენტის ან ჯაჭვის ან დაკბილული ღვედის ფორმით, თვლებისა კი ვარსკვლავას ფორმით და ასევე გარსაცმის არსებობით, რომელიც ფარავს უსასრულო ელემენტს და გააჩნია მისი კონტურის ფორმა, რადგან ასეთი კონფიგურაციით მნიშვნელოვნადაა შემცირებული აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი. გარდა ზემოაღნიშნულისა, კარკასის ფორმირება უსასრულო ელემენტისთვის, იმგვარად, რომ მისი კონტური იმეორებდეს უსასრულო ელემენტის პროფილის ფორმას და მისი აღჭურვა საგორავებით უსასრულო ელემენტისთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანად მუშაობაზე, რადგან ამ დროს მინიმუმადეა დაყვანილი მოქნილი ელემენტის (მუხლუხო ლენტი, ჯაჭვი, ღვედი) ჩაკიდება თითოეულ შტოზე, და შესაბამისად, უსასრულო ლენტის მოძრაობისადმი წინააღმდეგობის აღმოფხვრით ადგილი არ ექნება ჰიდროდინამიკური ძალის გამოყენების კოეფიციენტის შემცირებას. გარსაცმის კონსტრუქციაში შემოტანით აღარაა საჭირო უსასრულო ელემენტის შტოებზე ფრთის დაკეცვის უზრუნველყოფა და შესაბამისად, მისი დამხმარე საშუალებებით აღჭურვა.

**– დაგვისახელეთ ახალი მექანიზმის საექსპლუატაციო მახასიათებლები.**

– საექსპლოატაციო მახასიათებლების გაუმჯობესება მიიღწევა იმით, რომ ტივტივებზე განლაგებული ტურბინა დაკავშირებულია დგართან, რომელიც განთავსებულია ვერტიკალურ სიბრტყეში გადაადგილების შესაძლებლობის მქონე სამონტაჟო ფილაზე და იმით, რომ ხსენებულ დგართან მიერთებულია საპირწონე ტვირთი, რადგან ასეთი კონსტრუქციული შესრულების ფორმით სამონტაჟო ფილაზე და შესაბამისად, მიმმართველებზე მოსული დატვირთვები გათანაბრებულია და მდინარის წყალუხვობის პირობებში ტივტივა ელემეტების წყლის დონის მიმართ გადაადგილებას ხელს უწყობს პლატფორმის ვერტიკალურ სიბრტყეში გადაადგილებას, ნარჩუნდება რა ამით მთლიანობაში მოწყობილობის სიხისტე და სტაბილურობა, იმავდროულად, დგარზე და სამონტაჟო ფილაზე მოსული დატვირთვების სტაბილურობას ემსახურება მოქნილი მასტაბილიზირებელი ელემენტი, შესრულებული გვარლის ფორმით, რომლის ერთი ბოლო მიერთებულია ტურბინის დამჭერი ღერძის თავისუფალ ბოლოსთან, ხოლო მეორე ბოლო მზიდ ფილაზე დამაგრებულ ჯალამბართან, რადგან იგი უზრუნველყოფს დგარზე მგრეხავი მომენტის წარმოქმნის ალბათობას არა მარტო წყალუხვობის, არამედ მოწყობილობის ბუნებრივ გარემო პირობებში მუშაობის დროსაც. გარდა ზემოაღნიშნულისა, ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი კვანძების ნაწილის ნაპირზე განლაგებით საყრდენი პლატფორმა, სამონტაჟო ფილა, ტურბინის დამჭერი დგარი, გენერატორი, სტაბილიზაციის ელემენტები, უზრუნველყოფილია ამ ძირითად კვანძებთან ადვილი წვდომა მათი მუშაობის კონტროლისა თუ მომსახურების თვალსაზრისით.

**– რაში მდგომარეობს ამ ნოვაციური ჰიდროსადგურის ტექნიკური სიმარტივე?**

– კონსტრუქციის გამარტივება მიღწეულია ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკური და ტექნოლოგიური სიმარტივით, რადგან მასში გამოყენებულია მარტივი კონსტრუქციის კვანძები და მარტივი კინემატიკური კავშირები, ამასთან მოწყობილობა, შესაძლოა, აგებულ იქნას შედარებით მოკლე დროში, რადგან არ საჭიროებს რთული ინფრასტრუქტურის მოწყობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოყვანილი კონსტრუქციის ჰიდროელექტროსადგურის დაგეგმარებისა თუ დამონტაჟებისათვის საჭიროა მხოლოდ გათვლა მოხდეს ზაფხულის პერიოდში მდინარეში მოსალოდნელი წყლის დებეტის შემცირების ალბათობაზე. წყალუხვობის პერიოდში კი მისი კონსტრუქციული შესრულების გამო იგი ავტომატურად მოახდენს მის მიმართ რეგულირებას.

როგორც ჰიდროელექტროსადგურის, ასევე ელექტროენერგიის გამოსამუშავებელი კომბინირებული სისტემის კვანძების კონსტრუქციული ფორმებით და მათი ურთიერთკავშირებით განპირობებული სტაბილური დატვირთვები უზრუნველყოფენ ენერგიის სტაბილურ გამომუშავებას, ზოგიერთი გარემო ფაქტორის მავნე ზეგავლენის აღმოფხვრის გზით და საექსპლოატაციო ვადის გახანგრძლივებას.

აქვე, მინდა მივმართო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, საქართველოს ხელისუფლებას, ბიზნესმენებს, ენერგეტიკით დაინტერესებულ პირებს, რიგით ქართველებს, არ გაუშვათ ხელიდან ეს ეკოლოგიურად სუფთად მიღებული ელექტროენერგია, რომლის ათვისების შესაძლებლობა დღეს უკვე გვაქვს. მოგეხსენებათ, საქართველო არის ყველაზე წყალუხვი ქვეყანა ჩვენს პლანეტაზე, 26 060 მდინარე გვაქვს და წარმოიდგინეთ, ამ ახალი მოწყობილობით მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობა რა კოლოსალური შეიძლება იყოს.

ესაუბრა
**ირანდა კალანდაძე**

# მესხეთის დრამატული თეატრი მართლაც უშვიათესი იქნება!



**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის აღდგენით სამუშაოებს გაეცნო.**

**რეაბილიტაციის პროცესს ასევე გაეცნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი ანტონ ობოლაშვილი; ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი ლაზარაშვილი; სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვარდიაშვილი; ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.**

რეაბილიტაციისთვის კულტურის სამინისტრომ 14 140 000 ლარი გამოყო. მესხეთის თეატრში მოეწყობა ორი დარბაზი. მცირე დარბაზი – 100, ხოლო დიდი დარბაზი 500 მაყურებლისთვის იქნება განკუთვნილი. სრულად განახლდება როგორც თეატრის შიდა სივრცე, ისე შენობის ფასადი, მოპირკეთდება თეატრის ეზოც. თეატრში საგასტროლოდჰსამუშაოდ ჩასული რეჟისორებისა და მსახიობებისთვის მოეწყობა რვა სასტუმრო ოთახი, შენობა სრულად აღიჭურვება გათბობა-გაგრილებისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით.

თეატრს ასევე ექნება კაფე, რომელიც, თავის მხრივ, უმასპინძლებს შემოქმედებით პროექტებს. თეატრის რეაბილიტაცია 2023 წელს დაიწყო და 2025 წლის დასაწყისში დასრულდება. სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახალციხის სალოტბარო სკოლა მესხეთის თეატრის ახალი შენობის გახსნის შემდეგ იქ შეძლებს წარმატებული საქმიანობის გაგრძელებას, რაც თეატრის შენობას ხელს შეუწყობს, იქცეს კულტურის მრავალფეროვან კერად.

კულტურის სამინისტრო აქტიურად განაგრძობს ხელოვნების კერების ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლებას, რაც ხელს უწყობს კულტურისა და ხელოვნების განვითარებას და ხელოვნების ნიმუშებს ხელმისაწვდომს ხდის ფართო საზოგადოებისთვის.

# განახლებული ახალციხის თოჯინების სახელმწიფო თეატრი და... „გემრიელად მიირთვით“

**განახლებული ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი საზეიმოდ გაიხსნა ერეკლე დეისაძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლით „გემრიელად მიირთვით“.**

თეატრის შენობა კულტურის სამინისტროსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით 2023 წელს გარემონტდა, მოეწყო კაფე და განახლდა დარბაზი.

აღსანიშნავია, რომ თეატრი ამიერიდან სპექტაკლებს უფროს თაობასაც შესთავაზებს: დღის პირველ ნახევარში პატარებს უმასპინძლებს, საღამოს კი უფროსი მაყურებლისთვის გამართავს წარმოდგენებს. „გემრიელად მიირთვით“ სწორედ უფროსებისთვის განკუთვნილი სპექტაკლია.

**ინფორმაციისთვის: საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის თეა წულუკიანის მიერ 2022 წლის 1 აპრილს გამოცემული ბრძანების საფუძველზე შეიქმნა თოჯინების თეატრების გაერთიანება. განხორციელდა რეორგანიზაცია თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრსა და ახალციხის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, კერძოდ, ეს თეატრები გაერთიანდა. ახალ ორგანიზაციას სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება ეწოდა.**

**გაერთიანებას შეუერთდნენ ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი, გურჯაანის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი. ახალციხის თოჯინების თეატრის გახსნას დაესწრო თეა წულუკიანი და ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები.**



# ნუცა ჯანელიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს!



**თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში, ნუცა ჯანელიძის საიუბილეო საღამო გაიმართა, რომელიც ვარსკვლავის გახსნით დასრულდა.**

**კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის შემსრულებლები, ვოკალური კვარტეტები და ანსამბლები. საღამო მთლიანად ცოცხალი მუსიკის შესრულებით მიმდინარეობდა.**

# გიორგი ვაჩნაძე კონსერვატორიის რექტორია, გილოცავთ!

**12 მარტს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის არჩევნები გაიმართა. რეგისტრირებულმა კანდიდატმა, გიორგი ვაჩნაძემ აკადემიური საბჭოს წინაშე წარადგინა კონსერვატორიის განვითარების გეგმა. შედგა ფარული კენჭისყრა, რის შედეგადაც იგი ერთხმად აირჩიეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორად. გიორგი ვაჩნაძე ამ თანამდებობას ოთხი წლის განმავლობაში დაიკავებს.**



გიორგი ვაჩნაძემ 1985 წელს დაამთავრა თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 1990 წელს სასწავლებლად გაემგზავრა აშშ-ში, ნიუ იორკის მენეს კოლეჯში (Mannes College of Music). 1994 წელს დაამთავრა ინდიანის უნივერსიტეტის მაგისტრატურა.

გიორგი ვაჩნაძე არის არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (1994 წელი – ჯინა ბახაუერის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი, მეოთხე ადგილი; 1996 წელი – ალაბამის ფორტეპიანოს საერთაშორისო კონკურსი, პირველი ადგილი; 1997 წელი – მსოფლიოს საფორტეპიანო კონკურსი, ცინცინატი, პირველი ადგილი; 1998 წელი – პალმ ბიჩის საფორტეპიანო კონკურსი, პირველი ადგილი).

2002-2005 წლებში იყო ინდიანის უნივერსიტეტის ლექტორი, 2004-2011 წლებში – მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

ამჟამად გიორგი ვაჩნაძე არის ჩიკაგოს დეპოლის უნივერსიტეტის პროფესორი. გიორგი ვაჩნაძე წარმატებით მართავს კონცერტებს მთელ მსოფლიოში.

ინფორმაციისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც კონსერვატორიის რექტორს უფლებამოსილების ვადა 2023 წლის 21 ოქტომბერს ისე ამოეწურა, რომ ახალი რექტორის არჩევა ვერ მოხერხდა.

# ხუთი ახალი ბაღი ლანჩხუთში

**გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორის პირველ მოადგილესთან გიორგი ციბაძესთან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან ალექსანდრე სარიშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძესთან ერთად, ნიგვზიანის, ნინოშვილის, აკეთის, ჩოჩხათისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღების მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო.**

სამუშაო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და შედეგად ჩვენ მივიღებთ განახლებულ ინფრასტრუქტურას, სადაც ჩვენი მომავალი თაობა შეძლებს უსაფრთხო, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ, ადაპტირებულ გარემოში სწავლა-განათლების მიღებას. პროექტის ჯამური ღირებულება, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს, აღემატება შვიდ მილიონ ლარს.

# ახალი მოასფალტებული გზა სოფელ ხიდისთავში

**გორის მუნიციპალიტეტის მერმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტის მიხედვით, ხიდისთავში 1700 მეტრი ასფალტის საფარი დაიგება და მოეწყობა სანიაღვრე არხი.**

გზის რეაბილიტაციაზე მილიონ ლარამდე დაიხარჯება, პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და გორის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება. საგზაო ინფრასტრუქტურა ხიდისთავის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბანში ამ დრომდე მოსაწესრიგებელი იყო, არ არსებობდა ასფალტის საფარი და სანიაღვრეები, რაც მოსახლეობას და მძღოლებს გადაადგილების პრობლემებს უქმნიდა.

# ბარნაბიანთკარში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაო დასრულდა

**კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარნაბიანთკარში მოასფალტდა 1 კილომეტრზე მეტი სიგრძის გზა, მოეწყო ეზოში შესასვლელები, გზის გადამკვეთი ლითონის მილები, მოინიშნა საავტომობილო გზა.**

სოფელში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა. დასრულებული პროექტი უზრუნველყოფს მოსახლეობის და ტრანსპორტის კომფორტულ გადაადგილებას.

# სოფელ ქვენატკოცაში შიდა გზების მოწყობა მიმდინარეობს

**ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცაში შიდა გზების მოწყობა მიმდინარეობს. ჯამში 3 კმ-ზე მეტი სიგრძის გზა ეწყობა.**

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რაზეც 1.5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, პროექტი მიმდინარე წელს დასრულდება.

# რუსთავში წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაცია დაიწყო

**ქალაქ რუსთავის წყალმომარაგების სისტემური გაუმჯობესების ფარგლებში, კომპანია ჯივიპიმ მეგობრობის გამზირსა და გაგარინის ქუჩაზე წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაცია დაიწყო.**

მეგობრობის გამზირის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში 1700 მეტრამდე სიგრძის წყალსადენის ქსელი სრულად განახლდება, 15 ერთეული ევროსტანდარტის ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდული დამონტაჟდება და 11 საკვანძო ჭა მოეწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები პარალელურად გაგარინის ქუჩაზე შესრულდება, სადაც ასევე 1800 მეტრი სიგრძის წყალსადენის ქსელი განახლდება, 17 ერთეული ევროსტანდარტის ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდული დამონტაჟდება და 15 საკვანძო ჭა მოეწყობა. ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირისა და გაგარინის ქუჩის წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციაში კომპანია ჯივიპი ჯამში 5,5 მილიონ ლარამდე ინვესტიციას განახორციელებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე კვირას დაიწყო და მისი დასრულება გაგარინის ქუჩაზე მაისში, მეგობრობის გამზირზე კი ივნისშია დაგეგმილი. 2024 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი 18 მილიონ ლარზე მეტ ინვესტიციას განახორციელებს. მიმდინარე მასშტაბური სამუშაოების შედეგად წყალმომარაგება ქალაქ რუსთავის 40 000-ზე მეტ აბონენტს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდება.



# ვინ არის რომის პაპი ფრანსისკო?!

**მსოფლიოს ყველაზე პატარა ქალაქი-სახელმწიფო, ვატიკანი, რომის შიგნით მდებარეობს და სულ, 44 ჰექტრი უკავია. იგი სუვერენული სახელმწიფოა და 2019 წლის აღწერით, იქ მხოლოდ 825 ადამიანი ცხოვრობს. მართალია, ზომით, ჯუჯა სახელმწიფოა, მაგრამ მისი ძალა და გავლენა არაერთი დიდი ქვეყნის ძლიერებას აღემატება. არცაა გასაკვირი, რადგან ვატიკანი, კათოლიკური ეკლესიის ცენტრი და, 1929 წლის შემდეგ, რომის პაპის რეზიდენციაა. მანამდე, მერვედან მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე, დამოუკიდებელი სახელმწიფო, პაპის ოლქი არსებობდა, რომელსაც თითქმის მთელი ცენტრალური იტალია ეკავა.**

1947 წელს, იტალიის კონსტიტუციამ ვატიკანის სუვერენიტეტი განამტკიცა. ვატიკანი ცნობილია თავისი ძლიერი დიპლომატიური სამსახურით. თითქმის, ყველა ქვეყანაში, თავისი ნუნცია, ანუ, წარმომადგენელი ჰყავს.

რომის ახლანდელი, 87 წლის, პაპი-ფრანსისი ესპანურად,ფრანსისკო, არგენტინელი ხორხე-მარიო-ბერგოლიო გახლავთ. იგი პირველი იეზუიტი პაპია, პირველი პაპი ამერიკის კონტინენტიდან და, ისტორიაში, მეორე არაევროპელი პაპი.

ბერგოლიების წინაპრები იტალიიდან იყვნენ. მომავალი პაპი კი არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, რკინიგზის მუშაკის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. პროფესიით ქიმიკოსმა, რამდენიმე წელი ქიმიურ ლაბორატორიაში იმუშავა. 21-წლის ასაკში, ფილტვის მძიმე ოპერაციის შემდეგ, სასულიერო პირად ეკურთხა და ბუენოს-აირესის ერთერთ სემინარიაში ჩააბარა. სემინარიაში სწავლის დროს, იეზუიტთა ორდენს დაუახლოვდა. იმ დროს, ახალგაზრდა სემინარისტი, ხორხე-ბერგოლიო, შეყვარებული იყო, მაგრამ, დიდი ფიქრისა და ჭოჭმანის შემდეგ,გადაწყვიტა, ცხოვრება ოჯახისთვის კი არა, ქრისტესთვის მიეძღვნა და იეზუიტთა ორდენში გაწევრიანდა.

ორდენი, რომელსაც იესოს საზოგადოებასაც უწოდებენ, კათოლიკური ეკლესიის ყველა სხვა ორდენისგან განსხვავდება. იგი ბასკმა ბერმა, იგნატიუს-ლოიოლამ 1534 წელს დააარსა. იეზუიტები პირდაპირ რომის პაპს ექვემდებარებიან. ორდენი მკაცრი დისციპლინითა და რომის პაპისადმი უყოყმანო მორჩილებით გამოირჩევა. ისტორიულად, ორდენის წევრებს, ახალგაზრდებისთვის უმაღლესი განათლების მიცემისა და სხვა ქვეყნებში მისიონერული მოღვაწეობის უფლება აქვთ. იეზუიტების ორდენი, დღემდე, რომის პაპის ერთგულ სასულიერო არმიად მიიჩნევა. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ხორხე-ბერგოლიომ, ფილოსოფიაში, მასიმო-სან-ხოსეს კოლეჯის დიპლომი მოიპოვა, სანტა-ფეს სემინარიაში ღვთისმეტყველება შეისწავლა, და სანტიაგოს უნივერსიტეტში, ლიტერატურასა და ფსიქოლოგიას დაეუფლა. შემდეგ, თავად ასწავლიდა ბუენოს-აირესის რამდენიმე კოლეჯში, და სან-მიგელის იეზუიტების უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების კურსს კითხულობდა.

1969 წელს, არქიეპისკოპოსმა რამონ-ხოსე-კასტელიანომ ხორხე-ბერგოლიო ბერ-მონაზვნად აღკვეცა. მშობლიურმა უნივერსიტეტმა კი, პროფესორის წოდება მიანიჭა. ამავე დროს, იეზუიტების ორდენში, სხვადასხვა თანამდებობობა ეკავა. ორდენის ხელმძღვანელობა მოხიბლული იყო ხორხე-მარიოს ლიდერობის უნარით. 1973 წელს, ის არგენტინაში ორდენის წინამძღვრად დანიშნეს, სადაც მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში იმუშავა. მოგვიანებით, თავისი ალმა-მატერის რექტორად აირჩიეს. 1986 წელს, ბერგოლიომ თანამდებობა დატოვა და სადოქტორო დისერტაციის დასაცავად გერმანიაში გაემგზავრა.

შემდეგ, ისევ, არგენტინაში დაბრუნდა და ქალაქ კორდობაში მოძღვრად იმსახურა, სადაც, მისი უფროსი და სულიერი მოძღვარი, არგენტინის ცნობილი არქიეპისკოპოსი, რაულ პრიმატესტა იყო. 1992 წელს, ხორხე-მარიო-ბერგოლიო, ბუენოს-აირესის მთავარ საკათედრო ტაძარში, ეპისკოპოსად აკურთხეს. 6 წლის შემდეგ, ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსად აირჩიეს, რაც, მთელი არგენტინის მთავარეპისკოპოსობას ნიშნავდა. 2013 წლამდე ასრულებდა ის ამ მაღალ მოვალეობას. ამ ხნის განმავლობაში, ბევრი რამ გააკეთა არგენტინის ღარიბი მოსახლეობისთვის, გახსნა ახალი ეკლესიები და ჰუმანიტარული მისიები. ხორხეს არგენტინაში ღარიბების ეპისკოპოსი შეარქვეს. მღვდლებს ფუფუნებაში ცხოვრება აუკრძალა.

2000 წელს, საჯაროდ მოინანია, არგენტინის დიქტატურის ხანაში, ხუნტის მიმართ კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერა. თავის არქიეპისკოპოსობის დროს, ბერგოლიო, დიდ ხუთშაბათს, ფეხთბანვის რიტუალს ციხეში, საავადმყოფოსა და ქალაქის გაჭირვებულთა უბნებში ატარებდა ხოლმე.

2001 წელს, რომის პაპმა, იოანე-პავლე-მეორემ, ხორხე-მარიო-ბერგოლიოს კარდინალის ტიტული მიანიჭა, რითაც ის სან-რობერტო-ბელარმინოს კარდინალი გახდა. ვატიკანის სხვადასხვა კომისიის წევრ ბერგოლიოს ცხოვრების მოკრძალებული სტილითა და კონსერვატიული შეხედულებებით იცნობდნენ. რომში, პატარა ბინაში ცხოვრობდა და უარი თქვა ვატიკანის მანქანით მომსახურებაზე. იოანე-პავლე-მეორეს გარდაცვალების შემდეგ, ვატიკანის კარდინალები ხორხე ბერგოლიოს, რომის პაპის არჩევნებში, მთავარ კანდიდატად განიხილავდნენ, მაგრამ არჩევნებში მეტი ხმა სხვა კარდინალმა მიიღო. 2013 წელს, რომის პაპი ბენედიქტე მეთექვსმეტე, ფიზიკური მდგომარეობის გამო, ტახტიდან გადადგა. მალე, პაპის ახალი არჩევნები ჩატარდა და 2013 წლის 13 მარტს, ვატიკანის ერთ-ერთი შენობის საკვამლიდან, თეთრი კვამლი ამოვიდა, რითაც სამყაროს ემცნო, რომ ახალი პაპი არჩეულია. ასე გახდა კარდინალი ბერგოლიო რომის 266-ე პაპი, რომელსაც პაპი-ფრანსისი ანუ ფრანსისკო ეწოდა. წინათ, ასეთი სახელით, რომის პაპი არასოდეს წოდებულა. მისი თქმით, ეს სახელი წმინდა ფრანსისკო-ასიზის პატივსაცემად მიიღო, რადგან, კათოლიკურ ეკლესიაში, სწორედ ის ითვლება ღარიბთა წმინდანად.

პაპმა ფრანსისკომ არჩევის დღიდანვე, არგენტინაშიც და ვატიკანშიც, მკაცრი ფინანსური პოლიტიკის გატარება დაიწყო. თავად მან უარი თქვა მთავარ სასახლეში ცხოვრებაზე და სასახლესთან არსებულ მოკრძალებულ, სტუმრებისთვის განკუთვნილ სახლში ცხოვრობს. პაპი ფრანსისკო აქტიურადაა ჩაბმული საგარეო პოლიტიკაში. მისი დამსახურებაა, რომ კუბამ და ამერიკამ მთლიანად აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა.

**2016 წლის შემოდგომაზე, რომის პაპი ფრანსისკო საქართველოს ეწვია. 30 სექტემბერს, იგი საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა, სტუმრობდა მის უწმინდესობას, ილია მეორეს. რომის პაპმა, სამოციქულო ქადაგებაში განაცხადა, რომ ანდრია მოციქულის სიწმინდით გამსჭვალულ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და პეტრე მოციქულის მოწამეობაზე დაფუძნებულ რომის ეკლესიას, დღეს, სამოციქულო ძმობის განახლების მადლი ფარავს იესო-ქრისტეს სახელითა და მის ერთად სადიდებლად. პაპმა მკაცრად დაგმო რუსეთის შეჭრა უკრაინაში. მისი თაოსნობით, ომის შეჩერების საკითხზე რუსეთის ხელმძღვანელობასთან რამდენიმე მოლაპარაკება გაიმართა, თუმცა, უშედეგოდ...**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

# ყველიერის, მიტევების კვირიაკე

**17 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს განსაკუთრებულ დღეს, რომელიც წელიწადში ერთხელ აღინიშნება და მას მიტევების კვირიაკეს – ყველიერის კვირიაკეს ვუწოდებთ.**

**...დილით, მიტევების დღეს ყველა ადამიანი გაახელს თუ არა თვალს, უფალს შენდობას შესთხოვს, ღრმად იხედება თავის სულში, და რაც უფრო ცხადად ხედავს თავის ცოდვებს, მით უფრო სინანულით ევედრება უფალს ცოდვათა მიტევებას. ამგვარად, ის (ადამიანი გამოითხოვს სულიწმინდის მადლს შემოქმედისგან, რომელიც ვითარცა ცეცხლი განწმენდს სულს მანკიერებისგან. პირველ რიგში, ჩვენ შევუნდოთ მას (ყველა ადამიანს) ყველაფერი და შემდეგ თავმდაბლობით და გულწრფელობით ვითხოვოთ მისგან პატიება. ორშაბათიდან იწყება დიდმარხვა, როგორც ამბობენ: „მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა“.**

**გიული ლიპარტია**

# გარდაიცვალა ბულგარეთის პატრიარქი ნეოფიტე



**ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი და სოფიის მიტროპოლიტი ნეოფიტე გარდაიცვალა,** – ამის შესახებ ადგილობრივი მედია იტყობინება.

პატრიარქი 78 წლის იყო. დეტალები ამ ეტაპზე არ გავრცელებულა, თუმცა ცნობილია, რომ გასული წლის ნოემბერში ის ფილტვების დაავადების გამო იყო ჰოსპიტალიზებული. ნეოფიტე 1945 წლის 15 ოქტომბერს, სოფიაში დაიბადა. ბულგარეთის ეკლესიის და სოფიის მიტროპოლიტად ის 2013 წელს აირჩიეს.


# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სალომე ჯიქიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სალომე ჯიქიძე (პ/ნ 60001136685), ქუთაისი, გ. მაისურაძის ქ. №11, ბინა №11

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბო, სოფელი ჭოლები, მე-3 ქუჩა №17 (საკადასტრო კოდი: 29.06.33.034).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24719.63 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 14 მარტი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 მარტი, 13:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96847524;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 968475

6. **მოვალე:** სალომე ჯიქიძე (პ/ნ 60001136685), ქუთაისი, გ. მაისურაძის ქ. №11, ბინა №11
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96847524; ლოტის ნომერი: 968475).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 მარტის 12:00 საათამდე.

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ხობის მუნიციპალიტეტში **შპს „ბლექ სი პეტროლიუმის”** 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, **2024 წლის 15 მარტს 11:30 საათზე** ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევის კულტურის სახლის შენობაში სკოპინგის ანგარიშის განხილვის მიზნით დაგეგმილი საჯარო განხილვა გაუქმდა.

დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე - https://ei.gov.ge/ka/info/a2122c4c-e841-4ea5-8aae-1125af2f6139

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს რამილ გურბანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რამილ გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69 (საკადასტრო კოდი: 83.01.14.169).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 1500 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 14 მარტი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96847124;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 968471
6. **მოვალე:** რამილ გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69;
ფინარა ალიევა (პ/ნ 28001017196), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, ჰიდრის ზეინალოვის ქ. №87
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96847124; ლოტის ნომერი: 968471).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 მარტის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ხანახმად კოჯაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ხანახმად კოჯაევი (პ/ნ 36001047564), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 ქ. №59
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
საგარეჯო, სოფელი ლამბალო (საკადასტრო კოდი: 55.21.51.000.280).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 14 მარტი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 მარტი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96847224;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 968472
6. **მოვალე:** ხანახმად კოჯაევი (პ/ნ 36001047564), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 ქ. №59
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96847224; ლოტის ნომერი: 968472).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 მარტის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ეკატერინა მიქაუტაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბოს რაიონი, სოფელი მესხეთი (საკადასტრო კოდი: 29.12.31.509 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21828.15 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 14 მარტი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 მარტი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96847424;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 968474
6. **მოვალე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58;
ოთარ მიქაუტაძე (პ/ნ 58001008406), ხობი, გოგებაშვილის 52
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96847424; ლოტის ნომერი: 968474).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 მარტის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ელშან მამედოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელშან მამედოვი (პ/ნ 28001044371), მარნეული, ს. ალგეთის ყურძნის მეურნეობა
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, კაპანახჩის ტერიტორიული ერთეული, ს. ალგეთი (საკადასტრო კოდი: 83.06.11.049).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13706.21 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 14 მარტი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 მარტი, 14:45 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP96847324;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 968473
6. **მოვალე:** ელშან მამედოვი (პ/ნ 28001044371), მარნეული, ს. ალგეთის ყურძნის მეურნეობა;
ადილ მამედოვი (პ/ნ 28801127158), მარნეული, ს. ალგეთის მევენახეობის მეურნეობა
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP96847324; ლოტის ნომერი: 968473).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 მარტის 12:00 საათამდე.

ბრძოლის წინ

# კანკავას დაბრუნება

**საქართველოს ეროვნული ნაკრები სულ მალე ევრო 2024-ის პლეი-ოფის ნახევარფინალურ მატჩს ჩაატარებს ლუქსემბურგის წინააღმდეგ.**

აღნიშნული შეხვედრისთვის, რასაც შეიძლება ფინალიც დაემატოს (საბერძნეთთან ან ყაზახეთთან), ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვილი სანიოლმა** შემადგენლობა პრესკონფერენციაზე დაასახელა, შემდეგ კი მან ჟურნალისტთა შეკითხვებს დაწვრილებით უპასუხა:

**„ჯაბა კანკავას ნაკრებში დაბრუნება ჩემი სურვილი იყო, დიდხანს ვფიქრობდი. ჯაბამ თავისი სურვილით დაასრულა სანაკრებო კარიერა, როგორც საფეხბურთო, ისე პირადი მიზეზებით და მის გადაწყვეტილებას პატივი ვეცით. თუმცა, დიდი სურვილი გვქონდა ჩვენთან ისევ ეთამაშა, ვისაუბრეთ მასთან, ძალიან დადებითი დიალოგი იყო და გვითხრა, რომ ნებისმიერი ფორმით მზად იყო დასაბრუნებლად და გუნდის დასახმარებლად.**

**არ არის მნიშვნელოვანი ვართ თუ არა ლუქსემბურგთან ფავორიტი. მთავარია, რომ სახლში ვთამაშობთ ჩვენი გულშემატკივრის წინაშე. ისტორიული თამაშია და ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი მიზანი გამარჯვება იქნება.**

**რაც შეეხება ირაკლი აზაროვის არყოფნას, რთული გადაწყვეტილება იყო, ზოგადად, ხშირად მიწევს რთული გადაწყვეტილებების მიღება. მისი ბოლო მატჩებით ნაკრებში არ ვიყავი კმაყოფილი, კლუბი და ნაკრები სხვადასხვა რამეა. მან უნდა გააცნობიეროს, რომ პირველ რიგში მცველია და შესაბამისი დავალებები უნდა შეასრულოს. მას ექნება მომავალში შანსი, მაგრამ ამ ეტაპზე ვფიქრობ, რომ შენგელია და წიტაიშვილი უკეთესად გამოიყურებიან, ამიტომ მათი იმედი მაქვს.**

**საბა ლობჟანიძეს პიროვნულად, როგორც პროფესიონალს, ძალიან ვაფასებ და მასთან მუშაობა მსიამოვნებს. თუმცა, ის ამერიკაში წავიდა, სადაც კვირას რთული მატჩი აქვს და ხანგრძლივი მოგზაურობის გამო აღდგენისთვის დრო არ ექნებოდა, თანაც ასეთ სიტუაციაში თამაშს მიუჩვეველია. ჩავთვალე, რომ ლუქსემბურგისთვის მზად არ იქნებოდა. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ამ კონკრეტული მატჩებისთვის მივიღე და ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში ეროვნულ ნაკრებში არ იქნება.**



**ფიზიკური მომზადება ერთ-ერთი კრიტერიუმია, რითაც შემადგენლობა შევარჩიე, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია გამოცდილების, თამაშის ხარისხის და შეთამაშების ფაქტორიც. ყოველთვის არსებობს განსხვავებული მოსაზრება თუ ვინ უნდა იყოს ნაკრებში. ამ ეტაპზე ვარჩიე, რომ მარცხენა ფლანგზე ვენდო წიტაიშვილს და შენგელიას, ასევე, გოჩოლეიშვილს, რომელსაც შეუძლია მარცხენა ფლანგზე თამაში.**

**არაბიძე იყო გაფართოებულ სიაში. ვიცით, რომ კარგი სეზონი ჩაატარა, ბევრი გოლი გაიტანა. მას ვაკვირდებოდი, როგორც სტადიონზე, ისე ვიდეოჩანაწერებით. მესმის გულშემატკივრების, რომლებიც ითხოვენ მას ნაკრებში, მაგრამ მისი თამაშის ინტენსივობით კმაყოფილი არ ვიყავი ბოლო ორ შეხვედრაში. შეიძლება მე არ ვარ მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი, ამას მხოლოდ ჩემი ცოლი ფიქრობს, მაგრამ იურგენ კლოპი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და მან თქვა, რომ მხოლოდ ლიონელ მესის შეუძლია მაღალი ინტენსივობის გარეშე თამაში, არც რონალდუს, არც მბაპეს! ბოლო 10 წლის განმავლობაში ფეხბურთი ძალიან შეიცვალა, ბევრად ფიზიკური და ინტენსიური გახდა. შესაბამისად, ასეთი ფეხბურთელები, რომლებსაც მაღალი ინტენსივობით თამაში შეუძლია, საქართველოშიც გვჭირდება. ცხადია, არაბიძისთვის სამომავლოდ ნაკრების კარი ღია რჩება.**

**მეტოქეებზე ვრცლად საუბარს ყოველთვის ვერიდები და ახლაც არ ვაპირებ. ვისაც ლუქსემბურგი ჯუჯა საფეხბურთო ქვეყანა ჰგონია, ვეტყვი, რომ მეტოქეს პატივი სცენ, მათ საკმაო პროგრესი განიცადეს ბოლო დროს. ტრავმები და პრობლემები ყველა გუნდშია, ეს არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელობა არ აქვს, რას ფიქრობენ ისინი ჩვენზე ან ჩვენ მათზე, თამაშის დღეს გადამწყვეტი მენტალური მზადყოფნა იქნება.**

**ყოველთვის მაქვს იმედი, რომ ჩემი ფეხბურთელები მოტივირებული იქნებიან ნებისმიერ თამაშზე, არა მხოლოდ ახლა. რა თქმა უნდა, წნეხი არის, მაგრამ მე ამას დადებითად აღვიქვამ და დაბრკოლებად არ მიმაჩნია. ფეხბურთს სწორედ ასეთი მატჩებისთვის და მისგან გამოწვეული წნეხისთვის ვთამაშობთ, ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის დაბრკოლება. კანკავას დაბრუნება გუნდისთვის მოტივაციაა, რაც შეეხება კაპიტანს, გურამ კაშია იქნება, რადგან ისიც შესანიშნავი კაპიტანია.**

**მიქაუტაძე რთული პერიოდის შემდეგ კარგ ფორმაშია და ძალიან მიხარია. ზივზივაძეც ასევე კარგ ფორმაშია. მიფიქრია, რომ მათ ერთად ითამაშონ, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას შეკრებაზე, ვარჯიშების შემდეგ მივიღებ“,** – თქვა სანიოლმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო ლუქსემბურგის ნაკრებს 21 მარტს, თბილისში, „დინამო არენაზე“ უმასპინძლებს. ამ წყვილში გამარჯვებული გუნდი 26 მარტს, ფინალში საბერძნეთსა და ყაზახეთს შორის უმჯობესს შეხვდება. ფინალის მასპინძელიც საქართველო-ლუქსემბურგს შორის გამარჯვებული იქნება.

ოვალური ბურთი

# დავთრგუნოთ ემოციები

**გორჯღალოსანთა გაფართოებული შემადგენლობა უკვე საფრანგეთში იმყოფება და 2024 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალისთვის ემზადება, რომელიც 17 მარტს, ჩვენი დროით 23:55 საათზე „ჟან ბუინზე“ დაიწყება.**

რიჩარდ კოკერილმა თავისი პირველი ფინალისთვის 34 მოთამაშეს უხმო და რადგან ფინალი საფრანგეთში იმართება, გუნდიც პირდაპირ პარიზში შეიკრიბა. 2023 წლის მსოფლიო თასზე პორტუგალიასთან ნათამაშები ფრის (18:18) შემდეგ ბორჯღალოსნებში განსაკუთრებული განწყობაა და ისინი რევანშისთვის ემზადებიან.



გუნდის კაპიტანი **მერაბ შარიქაძე** ამბობს, რომ მთავარია მოთამაშეები ემოციებს არ აყვნენ:

**„მთავარია ემოციებს არ ავყვეთ. პორტუგალიასთან თამაში ჩვენთვის შესაძლოა ზედმეტად პრინციპულიც კი არის და ასეთ დროს ემოციებზე აყოლის საფრთხე არსებობს, რასაც მერე უარყოფითი შედეგი მოაქვს ხოლმე. მნიშვნელოვანია მთელი კვირა საქმეზე ვიყოთ კონცენტრირებული და მერე უშუალოდ თამაშისას გავაკონტროლოთ ემოციები. ბრაზმა და წარსულში მიღებულმა სიმწარემ არ უნდა გადაგვძლიოს“.**

ახალი სიცოცხლე

# ეს კრიობაა!

**ძველი ქალაქური კრივის აღდგენილმა ჩემპიონატმა „კრიობამ“ საშეჯიბრო ორგანიზაცია „მამბერის“ ორგანიზებით წელს საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა. ტურნირზე 8 ორთაბრძოლა გაიმართა, რომელშიც პროფესიონალმა მებრძოლებმა მიიღეს მონაწილეობა როგორც საქართველოდან, ასევე ევროპის ქვეყნებიდან.**

გამარჯვებულებს ფულადი პრიზები გადაეცათ. საღამოს მთავარი ორთაბრძოლა დიმიტრი ბოლქვაძესა და ფელისიენ კატენდეს შორის გაიმართა, სადაც ქართველმა მებრძოლმა მსაჯების ერთობლივი გადაწყვეტილებით გაიმარჯვა, ასევე საინტერესო გამოდგა ბექა გაბისონიას და ალან დეტონის დაპირისპირება, რომელიც ფრანგი მებრძოლის დანოკაუტებით დასრულდა. ასევე ნოკაუტით დასრულდა რუმინელი ოვიდიუ აქსინტეს და დავით ფაროის ორთაბრძოლა, რომელშიც რუმინელმა მებრძოლმა გაიმარჯვა.

**„კრიობა“ ძველად თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებში ფართოდ გავრცელებული და მოსახლეობისთვის ერთ-ერთი საყვარელი თავშესაქცევი იყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე თავად-აზნაურები. გამორჩეული მოკრივეები იყვნენ თბილისელი „ყარაჩოხელები“. მათგან არაერთის სახელმა მოაღწია დღემდე. თბილისში კრიობის ბრძოლების გამართვა რუსეთის იმპერიამ აკრძალა. მიზეზად, „მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა“ დასახელდა, რეალური მოტივი კი ქართველებში საბრძოლო სულისკვეთების და ბრძოლისუნარიანობის შემცირება იყო.**

**საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მკვლევართა ჯგუფმა კახაბერ ზარნაძის თაოსნობით გამოიკვლია და აღადგინა ქართული საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა მივიწყებული სახეობები. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია „კრიობა“. ძველი ქალაქური კრივის აღ-**



**დგენილი ჩემპიონატის „კრიობის“ მხარდამჭერები არიან სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის ფონდი, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.**

**საშეჯიბრო წესების შემუშავების შემდეგ, 2020 წლიდან საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობების და თამაშების ასოციაციის მიერ „კრიობის“ ჩემპიონატი ყოველწლიურად იმართება. ძველი წესების თანამედროვე სტანდარტებთან შერწყმით საინტერესო და მნიშვნელოვანი ქართული საბრძოლო ტრადიცია აღდგა. დიდწილად გათვალისწინებულია ძველი „კრიობის“ წესები, თუმცა მაღალი ტრავმულობის გამო ზოგიერთი წესი ამოიღეს, მაგალითად – თავური დარტყმები.**

ჩემპიონთა ლიგა

# ილუზიების ტყვეობაში

**მას შემდეგ, რაც კოშმარული სეზონის პერსონაჟების პირველი მერვედფინალური შეხვედრა ნეაპოლში ფრედ – 1:1 დასრულდა, რატომღაც გვწამდა, რომ იტალიის ჩემპიონს ორრაუნდიანი ბრძოლის მოგება შეეძლო, მაგრამ საპასუხო მატჩმა დაადასტურა, რომ ეს მხოლოდ ნაკლებად საფუძვლიანი ილუზია იყო, რომელიც ხვიჩა კვარაცხელიას შემდგომი წინსვლის სურვილით ნასაზრდოები ფაქტორი ყოფილა.**

მართლაც, გასათვალისწინებელი გახლდათ როგორც თანამედროვე პრიმერა დივიზიონის სიძლიერე სერია – ა-სთან მიმართებაში, ისე ბარსელონას გაცილებით მდიდარი საევროპე გამოცდილება და, რაც მთავარია, მეტოქეთა ძველი ბრძოლების სტატისტიკა, რომელიც ღაღადებდა, რომ კატალიონიელები გასვლაზე, როგორც წესი, ქულას იღებდნენ, შინ კი აუცილებლად იმარჯვებდნენ.

ტრადიცია რომ უმეტესწილად ჭეშმარიტების ბარომეტრია, ამჯერადაც დამტკიცდა, რადგან ტრავმირებულ ლიდერთა მთელი ჯგუფის არყოფნის მიუხედავად, ხავის გუნდმა უპრობლემოდ განახორციელა მომაკვდინებელი ჩხვლეტა და ფრანჩესკო კალცონას შეგირდები ტურნირიდან მოკვეთა – 3:1, არადა წინა დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აქამდე დაუმარცხებელი ახალი თავკაცის გაწვრთნილ ბიჭებს კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი შარშანდელი შედეგის გამეორების, ანუ მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში 10-მილიონევროიან პრემიას დაპირდა, რაც ავტომატურად გაისად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე აშშ-ში გამგზავრებასა და 100-მილიონდოლარიან ბონუსს ნიშნავდა.

რაც შეეხება კვარას, მან შესვენების შემდეგ ორჯერ ბურთი სანტიმეტრებით ააცილა კარს და ერთ ეპიზოდში ტრაორე უმწვავესი გადაცემით მოამარაგა, მაგრამ პარტნიორი ტექნიკის დეფიციტმა დააღალატა.

მთლიანობაში მასპინძლებმა მშვენივრად ისარგებლეს ოპონენტთა ფარღალალა დაცვით და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ პედრი, გავი და დე იონგი რომ მწყობრში ჰყოლოდათ, კატასტროფული სხვაობით დაამარცხებდნენ კამპანიელებს.

ამ ფონზე მირაჟად გამოიყურებოდა 1:2-ზე ლინდსტრომის მცირეოდენ არაზუსტი თავური დარტყმა ახლო მანძილიდან და ოლივერას მიერ ასევე კვარას ასისტენტობით ძელის შეწუხება – ვიმეორებთ, საერთო სურათი თვალნათლივ ასახავდა მონჟუიკის ოლიმპიური სტადიონის ბინადართა უპირატესობას.

ასე რომ, იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ მოვლენები ლოგიკურად განვითარდა და ის უფრო საფიქრებელია, რამდენად შესწევს ნაპოლის მდგომარეობის გამოსწორების უნარი კალჩოში, სადაც უახლოესი უმძიმესი გამოცდის ჩაბარება დამდეგ კვირას მილანში თითქმის უკვე სკუდეტოს 20-გზის მფლობელ ინტერთან უწევს.

სხვათა შორის, მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა შარშანდელმა ფინალისტმაც მიიღო, რომელიც მადრიდში ატლეტიკოსთან პენალტების სერიაში დამარცხდა – 1:2, (პირველი მატჩი – 1:0). დანარჩენი შედეგები: დორტმუნდი – პსვ 2:0 (1:1), არსენალი – პორტუ 1:0 (0:1), პენალტებით – 5:3.

**დღეს უეფას შტაბ-ბინაში მეოთხედფინალისტთა წილისყრაა.**

ლეგიონერი

# პლეი-ოფში - ვადამდე

**საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურში „ლენოვო ტენერიფემ“ თურქული „პინარ ქარშიაქა“ 88:79 დაამარცხა.**



პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ ესპანელებმა გარდამტეხი უპირატესობა მესამე პერიოდში მოიპოვეს და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვეს.

**გიორგი შერმადინმა** 17 წუთში 14 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 4 ორქულიანი და ექვსივე საჯარიმო ჩააგდო.

„ლენოვო ტენერიფე“ 4 მოგებით და 1 წაგებით ჯგუფის ლიდერია და მეოთხედფინალის საგზური უკვე მოიპოვა, ხოლო ბოლო ტურში 19 მარტს ბერძნულ „პერისტერის“ სტუმრად დაუპირისპირდება.

# იტალიაში ხუთი პედოფილი დააკავეს

**ხუთიდან ერთ-ერთი მონსტრი ორი წლის განმავლობაში ძალადობდა სამ პატარა გოგონაზე. ორი წლის განმავლობაში ის ტკბებოდა ტერორით, რითიც დაიმორჩილა ორი მათგანი, რომლებიც მასთან დაკავშირებული იყვნენ ოჯახური კავშირებით და მესამე – მეგობრის ნათესავი იყო. ლომბარდია აშფოთებულია ბავშვთა პორნოგრაფიის საქმით.**

ეს არის ზუსტად ის საშინელება, რომელიც აღმოაჩინა მილანის პოლიციამ, როდესაც დააკავა დანაშაულში მხილებული ხუთი პედოფილი.

აგენტებმა ჩაატარეს 21 ჩხრეკა კომოს, ლოდის, მონცა ბრიანცას, მილანის, პავიასა და ვარესეს პროვინციებში. დაკავებულები ფლობდნენ დიდი რაოდენობით ბავშვთა პორნოგრაფიას და ოპერაციამ, რომელიც მიზნად ისახავდა ონლაინ ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლას, დოკუმენტურად აჩვენა, თუ როგორ აწარმოებდა ხუთი პედოფილი მასალას, რომელიც უბიძგებდა ძალიან ახალგაზრდებს, თუნდაც შვიდი-რვა წლის ასაკში, ჩაეტარებინათ სექსუალური აქტები, სტრიმინგის საშუალებით. წარმოუდგენელია, ის, რაც დაკავებულების კომპიუტერების გამოკვლევებმა გამოავლინა.

პედოფილები ახალშობილებსაც არ ინდობდნენ. პოლიციელები წააწყდნენ სექსუალური ძალადობის ვიდეოებს, სადაც სექსუალური ძალადობა ხდებოდა ყველაზე პატარაზე, ყველაზე დაუცველზე. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ახალშობილებზე... გამოძიება შესაძლებელი გახდა საერთაშორისო პოლიციის სტრუქტურებთან თანამშრომლობით...

# 21 წლის მამის მკვლელს სასამართლომ 17-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

**სოფელ ანაგაში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულ 21 წლის ბიჭს სასამართლომ 17-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენი თელავის რაიონულ სასამართლოში გამოცხადდა. მსჯავრდებული დანაშაულს აღიარებდა, თუმცა ამტკიცებდა, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა. ის სასამართლო პროცესებზე აცხადებდა, რომ მამა ემუქრებოდა და თავი დაიცვა.**

როგორც ადვოკატი ლალი ჩაველაშვილი განმარტავს, დაცვის მხარე თავიდანვე აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩადენილ მკვლელობაზე საუბრობდა. უფლებადამცველი ახლა განაჩენის გასაჩივრებასა და საქმისათვის კვალიფიკაციის შეცვლას მოითხოვს.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და პროკურატურის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ახალგაზრდა კაცი მამის განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაგაში მკვლელობა 2023 წლის 4 ივლისს მოხდა. წარსულში ნასამართლევმა და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა 21 წლის ახალგაზრდამ 51 წლის მამა დანით მოკლა.

# „კანონიერი ქურდი" „შაქრო მოლოდოი" ვადაზე ადრე გაათავისუფლეს

**ე.წ. კანონიერი ქურდი „შაქრო მოლოდოი" (ნამდვილი სახელი ზაქრო კალაშოვია) სასამართლომ ვადაზე ადრე გაათავისუფლა – გადაწყვეტილება 70 წლის კრიმინალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე დაყრდნობით არის მიღებული.**

ცნობისთვის, 2018 წლის მარტში „შაქრო მოლოდოის" თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით მიესაჯა. მას ბრალი გამოძალვის ბრალდებით წარედგინა და დამნაშავედ ორ პუნქტში იქნა ცნობილი.

# 24 წლის ქალი ყოფილ მულს შეურაცხყოფდა!..

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადებით, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე 2000 წელს დაბადებული ქალი ამხილეს. უწყება ამბობს, რომ ის „ინსტაგრამზე", კაცის სახელით მისი ყოფილი ქმრის დას გაეცნო.**

დაზარალებულმა ქალმა მას თავისი შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოები და ვიდეო გაუგზავნა, ბრალდებულმა კი ეს ნათესავებთან გაავრცელა.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წელს, სოციალურ ქსელ „ინსტაგრამის" ყალბი პროფილის გამოყენებით, 2000 წელს დაბადებული ქალი, შურისძიების მოტივით მამაკაცის სახელით მისი ყოფილი მეუღლის დას გაეცნო და ნდობა მოიპოვა. დაზარალებულმა მითითებულ ყალბ პროფილზე ყოფილ რძალს, რომელიც მამაკაცის სახელით, ყალბი პროფილით ესაუბრებოდა, თავისი შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოები და ვიდეოები გადაუგზავნა. ბრალდებულმა, ამ გზით, მოტყუებით, უკანონოდ მოიპოვა და შეინახა დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ფოტო-ვიდეომასალა, რომლებიც შემდგომ სახელის გატეხის მიზნით დაზარალებულის ნათესავებთან გაავრცელა".**

დანაშაულში მხილებულ ქალს ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე წარედგინა. დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# 20 წლის მოძალადე გამოიჭირეს!

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.**

უწყების ცნობით, 20 წლის კაცმა, მეგობრის ყოფილი შეყვარებულის ინტიმური შინაარსის ფოტოსურათები და ვიდეოჩანაწერები უკანონოდ მოიპოვა და გავრცელების მუქარით, უსიტყვო მორჩილება და კონკრეტული ქმედებების შესრულება, მათ შორის, ინტიმური შინაარსის ფოტოსურათების გადაგზავნა და დაზარალებულის სოციალურ ქსელ Facebook-ის პაროლის გადაცემა მოსთხოვა.

გარდა ამისა, მან Facebook-ის ყალბ გვერდზე ინტიმური შინაარსის ვიდეოჩანაწერები საჯაროდ განათავსა. დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# უცხოელის ნაკვეთს მოტყუებით იკანონებდნენ...

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, უცხო ქვეყნის მოქალაქის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, პირთა ჯგუფი ამხილეს.**

მათივე ცნობით, სისხლისსამართლებრივი დევნა ოთხი პირის მიმართ დაიწყო, მათ შორის დაკავებულია ორი პირი.

**– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, თითქოსდა აზერბაიჯანში გაცემული ნოტარიულად დამოწმებული ყალბი მინდობილობის საფუძველზე, უძრავი ქონების მესაკუთრის სახელით, ქ. თბილისის იუსტიციის სახლში წარადგინეს განცხადება, რომლის საფუძველზეც შეეცადნენ უცხოეთის მოქალაქის სახელზე რეგისტრირებული – ქ.თბილისში მდებარე 624 472 ლარის ღირებულების ორი მიწის ნაკვეთის გასხვისებას, რაც სისრულეში ვერ მოიყვანეს... ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე და 19-180 მუხლებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.**

# ბიძა სექსუალურად ავიწროებდა, დეიდა სცემდა!

**დააკავეს კაცი, რომელიც მეუღლის 15 წლის დისშვილს სექსუალურად ავიწროებდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა „აჭარათაიმსი" ავრცელებს. გამოცემას ანონიმური წყარო უყვება, რომ კაცს 15 წლის გოგოს გაუპატიურების მცდელობა რამდენჯერმე ჰქონდა.

**„კაცი მეუღლის დისშვილთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. ავიწროებდა მუდმივად, რის გამოც გოგო სახლიდან ხშირად გარბოდა, მათ შორის სცადა თვითმკვლელობაც. ძალადობის მსხვერპლმა მოზარდმა სექსუალური შევიწროების ფაქტი დეიდას უამბო, რომელიც გოგოს ფიზიკურად გაუსწორდა. დეიდა არასრულწლოვანს ტყუილსა და ფაქტის გაზვიადებაში ადანაშაულებდა. გოგო ცემის შემდეგ გაიქცა სახლიდან და პოლიციაში უჩივლა.**

**ვიდრე პოლიცია რეაგირებას მოახდენდა 15 წლის გოგონამ მომხდარის შესახებ შეყვარებულსაც უამბო, ამ უკანასკნელმა კი სექსუალურად მოძალადე კაცთან გასაუბრება სცადა, რაც გოგოს შეყვარებულის დაჭრით დასრულდა. მოგვიანებით ცოლ-ქმარი პოლიციამ დააკავა, თუმცა ქალი გირაოს სანაცვლოდ მალევე გაათავისუფლეს,"** – განაცხადა ანონიმურმა წყარომ.

მან ასევე აღნიშნა, რომ არასრულწლოვანზე ახლა ფსიქოლოგიური ძალადობა მიმდინარეობს. ბრალდებულების ოჯახის წევრები არასრულწლოვანს გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების შეცვლას აიძულებენ. 15 წლის გოგოს დედა ემიგრაციაშია, შვილი კი მის დასთან ჰყავს დატოვებული.

# სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების მემორანდუმი



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და გერმანული კომპანიის „ბაივა ცე ეს საქართველო" (BayWa CS Georgia) დირექტორმა იოჰან ბრუნერმა სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.**

მემორანდუმი ითვალისწინებს სტაჟირების, პრაქტიკის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში სტუდენტთა ხელშეწყობას, საკადრო რეზერვის შექმნას და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

კომპანია „ბაივა ცე ეს საქართველო" უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, არანაკლებ 15 სტუდენტს სთავაზობს პრაქტიკის კურსების გავლის შესაძლებლობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მადლობა გადაუხადა კომპანიის წარმომადგენელს სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის. **„ვფიქრობ თქვენ კომპანიასთან თანამშრომლობა საინტერესო პროექტი იქნება. ჩვენს სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ არა მხოლოდ გაიღრმავონ პრაქტიკული ცოდნა, არამედ დასაქმდნენ სასურველ პოზიციებზე",** – აღნიშნა **ჯაბა სამუშიამ.**

სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს: გერმანული ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე; ფინანსების, ეკონომიკის ან ბიზნეს-ადმინისტრირების აქტიური სტუდენტი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ან არაუგვიანეს ორი წლის კურსდამთავრებული.

# საზღვაო აკადემიის 8 სტუდენტს სწავლის საფასური გაუნახევრა



**ფოთის მერიამ, საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის 8 სტუდენტს სწავლის საფასური 50%-ით დაუფინანსა. ასევე, წელს, პირველად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის სტუდენტებისთვის ამოქმედდა ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია.**

ქალაქის მერმა ბექა ვაჭარაძემ სასწავლებლის სტუდენტებს ფოთის მერიაში უმასპინძლა და აღნიშნული სიახლეები პირადად გააცნო.

**„ფოთელი სტუდენტების ხელშეწყობის და მხარდაჭერის მიზნით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ, რომლის საფუძველზე, „საბაკალავრო პროგრამის" ფარგლებში ვაგრძელებთ ფოთელი სტუდენტების წახალისებას სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენი პრიორიტეტია ფოთში გაიზარდოს სტუდენტების რაოდენობა. შესაბამისად, მუდმივად ვუჭერთ მხარს სასწავლებლის განვითარებას და აქტიურად ვთანამშრომლობთ",** – განაცხადა ვაჭარაძემ.

# აფეთქება სამტრედიის ქუჩაზე

**თბილისის მერიამ სამტრედიის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების გამო 93 ოჯახი დროებით სასტუმროებში დააბინავა. თბილისის მერიის ინფორმაციით, კორპუსის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ ცნობილი გახდება, ადგილობრივი მოსახლეობა საცხოვრებლად აღნიშნულ კორპუსს დაუბრუნდება, თუ კორპუსის გამაგრებამდე დროებით ქირით გადაიყვანენ.**

დიდუბის რაიონში, სამტრედიის ქუჩა №2-ში, გუშინ გამთენიისას, საცხოვრებელ კორპუსში ძლიერი აფეთქება მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, არავინ დაშავებულა. დაზარალებული მოსახლეობის სასტუმროებში დაბინავება დიდუბის რაიონის გამგეობამ უზრუნველყო.



# ათასობითმა სტუმარმა გერმანიაში ქართული ღვინოები დააგემოვნა

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ასოციაციის, „ქართული ღვინის" ორგანიზაციული მხარდაჭერით, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 28 კომპანია მონაწილეობდა.**

გამოფენაზე სამი დღის განმავლობაში ქართული ღვინის შეფასების შესაძლებლობა ღვინის პროფესიონალებს, კომერციული სექტორის წარმომადგენლებს და გამოფენის ათეულათასობით სტუმარს მიეცა, რასაც საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და გაყიდვების ზრდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ქართული ღვინის ოთხი პროფესიული წარდგინება-დეგუსტაცია გაიმართა: პრესტიჟული გერმანული მედია ჰოლდინგის, Meininger-ის სტენდთან დეგუსტაციას



„საქართველო – ღვინის სამშობლო" ღვინის მაგისტრები იანეკ შუმანი და კონსტანტინ ბაუმი, ხოლო სამ ღონისძიებას სახელწოდებით „ქართული ღვინის დღე", ცნობილი ინფლუენსერი და სომელიე ტონი ასკიტისი უძღვებოდნენ.

**„საქართველო ProWein Dusseldorf-ში 24-ედ მონაწილეობდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანიც სწორედ ბაზრების დივერსიფიკაციაა. რაც შეეხება გერმანიას, ის ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის გაყიდვები სტაბილურად მზარდია",** – აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ. გამოფენის ფარგლებში ლევან მეხუზლამ შეხვედრები გამართა სხვადასხვა მარკეტინგული კომპანიის და მედიაჰოლდინგის წარმომადგენლებთან, ასევე, გამოფენის დირექტორთან, პეტერ შმიტცთან. საიუბილეო გამოფენაში 65 ქვეყნის 5400 ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა.

# პირველად ევროვიზიის ისტორიაში...

**ევროვიზიის ისტორიაში პირველად, „დიდი ხუთეულის" წარმომადგენლები – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და მასპინძელი ქვეყანა – შვედეთი თავიანთ სიმღერებს ნახევარფინალში პირდაპირ ეთერში შეასრულებენ.**

წინა წლებში ნახევარფინალურ შოუებზე მათი რეპეტიციის მხოლოდ მოკლე ვიდეო გადიოდა. ახლა „დიდი ხუთეული" და შვედეთი ევროვიზიის სცენაზე გასვლას და კონკურენტ წარმომადგენლებთან ერთად თავიანთი ნამუშევრების ჩვენებას შეძლებენ.

პირველ ნახევარფინალში გერმანია, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი წარდგებიან, მეორე ნახევარფინალში კი – საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი. ევროვიზიის სიმღერის კონკურსი 7, 9 და 11 მაისს შვედეთის ქალაქ მალმეში, Malme Arena -ზე გაიმართება.

# ხელოვნური ინტელექტი ექიმებს ოპერაციის ჩატარებაში ეხმარება



**ლონდონში, კლინიკა „კრომველის" თანამშრომლებმა ხერხემალზე ოპერაციის ჩასატარებლად Apple Vision Pro გამოიყენეს. შერეული რეალობის სათვალე ერთ-ერთ მედდას ეკეთა. მოწყობილობა მას ქირურგების მუშაობაზე უფრო კარგ დაკვირვებასა და მათთვის საჭირო ინსტრუმენტების სწრაფად მიწოდებაში ეხმარებოდა.**

ბრიტანელი მედიკოსების მუშაობაში ახალი ტექნოლოგიების ჩანერგვით სტრარტაპი EXEX არის დაკავებული. მისმა თანამშრომლებმა სპეციალური აპლიკაციაც კი შეიმუშავეს, რომელიც სპეციალისტებს ოპერაციის ჩატარებაში ეხმარება, აგროვებს მონაცემებს პაციენტის მდგომარეობის შესახებ და მათ ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით ამუშავებს. Apple Vision Pro გასული წლის ზაფხულში წარადგინეს. მისი გაყიდვა თებერვალში დაიწყო. ამ კვირაში კი Apple-მა წარადგინა პრეზენტაცია მოწყობილობის ჯანდაცვის სფეროში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. კერძოდ, მასში ნაჩვენები იყო ვირტუალური და შერეული რეალობის აპლიკაციები, რომლებიც სპეციალისტებს ოპერაციების დაგეგმვაში, პაციენტების მოვლასა და ახალი თანამშრომლების ტრენინგში დაეხმარება.

# კანონი ხელოვნური ინტელექტის რეგულირებისთვის

**ევროპარლამენტმა ხელოვნური ინტელექტის რეგულირების შესახებ პირველი კანონი დაამტკიცა. ახალმა რეგულაციამ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და უსაფრთხოებასთან, ასევე დემოკრატიასა და კანონთან ხელოვნური ინტელექტის შესაბამისობა უნდა უზრუნველყოს.**

კანონი მიზნად ისახავს მაღალი რისკის ხელოვნური ინტელექტისგან გარემოს დაცვასა და პოტენციური რისკის შემცირებასაც. წესები ვრცელდება „მაღალი რისკის" აპლიკაციებზე, როგორიცაა, მაგალითად, სახის ამომცნობი სისტემები, ასევე ისეთი აპლიკაციები, რომლებსაც ადამიანის ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება შეუძლია. ასეთი ტექნოლოგიის გამოყენება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე იქნება შესაძლებელი.



# მსოფლიოში ბავშვთა სიკვდილიანობის დონე ისტორიულ მინიმუმამდე შემცირდა

**2022 წელს მსოფლიოში 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობის დონე ისტორიულ მინიმუმამდე – 4,9 მილიონამდე შემცირდა. კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციამ (WHO) და მსოფლიო ბანკმა ჩაატარეს. მათი მონაცემებით, სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2000 წლის შემდეგ 51%-ით არის შემცირებული, 1990 წლის მონაცემებთან შედარებით კი 62%-ით.**

ბავშვთა სიკვდილიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მშობიარობის დროს გართულებები რჩება. 2000 წლის შემდეგ მსოფლიოს მასშტაბით 162 მილიონი დაღუპული ბავშვიდან 72 მილიონი სიცოცხლის პირველივე თვეშია გარდაცვლილი. სხვა მიზეზებს შორისაა რესპირატორული ინფექციები, მალარია, დიარეა. თუმცა კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, სიკვდილიანობის დონის შემცირება სტაგნაციის ან გაუარესების რისკის ქვეშაა. მსოფლიოს უჭირს გაეროს 2030 წლისთვის დასახული მიზნის მიღწევა, რომელიც ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე სიკვდილიანობის მხოლოდ 25 შემთხვევას ითვალისწინებს.

# ამერიკელებში ლგბტ თემის რაოდენობა გაორმაგდა

**ზრდასრულ ამერიკელთა რიცხვი, რომლებიც თავს ჰეტეროსექსუალებად არ მიიჩნევენ, 2012 წელთან შედარებით გაორმაგდა,** – ამის შესახებ Gallup-ის გამოკითხვაზე დაყრდნობით იტყობინებიან.

2012 წელს Gallup-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ლგბტ საზოგადოებას საკუთარი თავი მხოლოდ რესპონდენტთა 3,5%-მა მიაკუთვნა. 2023 წლის გამოკითხვაში, რომელშიც მონაწილეობა 12 000-მა ადამიანმა მიიღო, ეს მაჩვენებელი უკვე 7,6%-ს შეადგენს. Gallup-ის წარმომადგენლის, ჯეფრი ჯონსის თქმით, Gen Z-ის თაობის (18-26 წლის) ქალების თითქმის 30% თავს ლგბტქ+ საზოგადოების წევრად მიიჩნევს. მათ შორის 20,7% თავს ბისექსუალს უწოდებს, 5,4% – კი ლესბოსელს. გამოკითხვით ყველაზე დიდ ჯგუფს ბისექსუალები (57,3%) შეადგენენ, შემდეგ მოდიან გეები (18,1%), ლესბოსელები (15,1%) და ტრანსგენდერები (11,8%).



Gallup-ის წარმომადგენლის განცხადებით, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდა თაობებს შორის ლგბტქ+ საზოგადოების წევრებად იდენტიფიცირების ალბათობა გაცილებით უფრო მაღალია. თუ მოქმედი ტრენდი შენარჩუნდება, სავარაუდოდ, ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა რიცხვი ზრდასრულ ამერიკელებს შორის უახლოესი სამი ათწლეულის განმავლობაში 10%-ს გადააჭარბებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა"
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 მარტს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6758; ევრო - 2.9271;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4282;
100 რუბლი - 2.9036; თურქული ლირა - 0.0828;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5635;
1000 სომხური დრამი - 6.5929

**ამინდი 15 მარტისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე 0, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე –3, | დღე +16 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +5, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +1, | დღე +19 |
| თბილისი: | ღამე +5, | დღე +17 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge